


ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities
თსუ შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
TSU Shota Rustaveli Institute of Georgian Literature
საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა
The National Library of Georgia
საქართველოს გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული
ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი
Giorgi Leonidze State Museum of Georgian Literature
თსუ მუზეუმი
Tsu Museum

კონსტანტინე გამსახურდიასადმი მიძღვნილი
სამეცნიერო კონფერენცია
კონსტანტინე გამსახურდია:
ეროვნული იდენტობა და უნივერსალური ღირებულებები



Scientific Conference Dedicated to Konstantine Gamsakhurdia
Konstantine Gamsakhurdia:
National Identity and Universal Values

პროგრამა/თეზისები
Program/Abstracts

მაისი 27-28 May
თბილისი 2026 Tbilisi

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

თსუ შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
TSU Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა
The National Library of Georgia

საქართველოს გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის
სახელმწიფო მუზეუმი
Giorgi Leonidze State Museum of Georgian Literature

თსუ მუზეუმი
TSU Museum

კონსტანტინე გამსახურდიასადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია

**კონსტანტინე გამსახურდია: ეროვნული იდენტობა და
უნივერსალური ღირებულებები**

Scientific Conference Dedicated to Konstantine Gamsakhurdia

Konstantine Gamsakhurdia: National Identity and Universal Values

**პროგრამა/თეზისები
Program/Abstracts**

მაისი 27-28 May
თბილისი 2026 Tbilisi

სამეცნიერო და საორგანიზაციო კომიტეტი:

დარეჯან თვალთვაძე – ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი

ირმა რატიანი – თსუ შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი

მირიან ხოსიტაშვილი – საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილე

ლევან თაქთაქიშვილი – საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის საბიბლიოთეკო რესურსების დეპარტამენტის დირექტორი

ეკატერინე ნავროზაშვილი – ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი

მაია გურაბანიძე – თსუ მუზეუმის დირექტორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი

მანანა ლილუაშვილი – თსუ მუზეუმების საგანმანათლებლო პროგრამებისა და დროებითი გამოფენების კურატორი, ისტორიის დოქტორი

ნათია დვალი – უნივერსიტეტის გამომცემლობის დირექტორის მოადგილე

ნანა კაჭაბავა – უნივერსიტეტის გამომცემლობის წამყვანი სპეციალისტი

ნათია ფუტკარაძე – ფილოლოგიის დოქტორი

Scientific and Organizing Committee:

Darejan Tvaltvaдзе – Dean of the Faculty of Humanities, Professor

Irma Ratiანი – Director of the TSU Shota Rustaveli Institute of Georgian Literature, Professor

Mirian Khositashvili – Deputy Director of the National Library of Georgia

Ivan Taktakishvili – Director of the Library Resources Department of the National Library of Georgia

Ekaterine Navrozashvili – Head of the Scientific Research and Development Service of the Faculty of Humanities, Associate Professor

Maia Gurabanidze – Director of TSU Museum, Doctor of Art History

Manana Liluashvili – Curator of Educational Programs and Temporary Exhibitions at TSU Museums, Doctor of History

Natia Dvali – Deputy Director of TSU Press

Nana Katchabava – Leading Specialist of TSU Press

Natia Putkaradze – Doctor of Philology

რეგლამენტი:

მოხსენება პლენარულ სხდომაზე – 25 წუთი

მოხსენება სხდომაზე – 15 წუთი

დისკუსია – 5 წუთი

Time Limit:

Presentation at the plenary session – 30 minutes

Presentation at the section meeting – 15 minutes

Discussion – 5 minutes

სამუშაო ენა – ქართული

Working language – Georgian

მაისი 27 May

10.00 – 10.30

**კონფერენციის მონაწილეთა რეგისტრაცია
Registration of the Conference Participants**

ილია ჭავჭავაძის გამზ. N1, თსუ-ს I კორპუსი, 115-ე ოთახი
1 Ilia Chavchavadze Avenue, TSU 1st Building, Room 115

10.30 – 12.00

კონფერენციის გახსნა/Opening of the Conference

ილია ჭავჭავაძის გამზ. N1, თსუ-ს I კორპუსი, 115-ე ოთახი
1 Ilia Chavchavadze Avenue, TSU 1st Building, Room 115

აკადემიკოსი ჯაბა სამუშია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის რექტორი

Academician Jaba Samushia

Rector of Ivane Javakhishvili Tbilisi State University

პროფესორი დარეჯან თვალთვაძე

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი

Professor Darejan Tvaltvaдзе

Dean of the Faculty of Humanities

მისალმებები

Greetings

12.00 – 12.30

კონსტანტინე გამსახურდია

Konstantine Gamsakhurdia

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი

Director of the National Library of Georgia

კონსტანტინე გამსახურდიას ბიბლიოგრაფიის პრეზენტაცია
Presentation of Konstantine Gamsakhurdia's Bibliography

ილია ჭავჭავაძის გამზ. N1, თსუ-ს I კორპუსი, 115-ე ოთახი

1 Ilia Chavchavadze Avenue, TSU 1st Building, Room 115

12.30 – 13.00

კონსტანტინე გამსახურდიასადმი მიძღვნილი გამოფენა

Exhibition Dedicated to Konstantine Gamsakhurdia

ილია ჭავჭავაძის გამზ. N1, თსუ-ს I კორპუსი, II სართული, თსუ მუზეუმი

1 Ilia Chavchavadze Avenue, TSU 1st Building, 2nd floor, TSU Museum

13.00 – 13.30

შესვენება/Break

13.30 – 15.00

პლენარული სხდომა/Plenary Session

ილია ჭავჭავაძის გამზ. N1, თსუ-ს I კორპუსი, 115-ე ოთახი
1 Ilia Chavchavadze Avenue, TSU 1st Building, Room 115

**სხდომის თავმჯდომარე – რუსუდან ნიშნიანიძე
Chairperson – Rusudan Nishnianidze**

ნათელა ვაჩნაძე/Natela Vachnadze

უცნობი კონსტანტინე გამსახურდია

Unknown Konstantine Gamsakhurdia

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი/Saint Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia

სოსო სიგუა/Soso Sigua

არქეტიპული მოდელები კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებაში და ერთი პარალელი ქართული მწერლობიდან

Archetypal Models in the Works of Konstantine Gamsakhurdia and One Parallel from Georgian Literature

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია/The National Academy of Sciences of Georgia

რუსუდან ნიშნიანიძე/Rusudan Nishnianidze

კონსტანტინე გამსახურდია – პოლიტიკური და მხატვრული პარადიგმა

Konstantine Gamsakhurdia – Political and Artistic Paradigm

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/Ivane Javakhishvili Tbilisi State University

მაისი 28 May

10.00 – 13.30

სხდომა I Session

ილია ჭავჭავაძის გამზ. N1, თსუ-ს I კორპუსი, II სართული, ოთახი 202
1 Ilia Chavchavadze Avenue, TSU 1st Building, 2nd floor, Room 202

სხდომის თავმჯდომარე – ლია წერეთელი Chairperson – Lia Tsereteli

ქეთევან ხითარიშვილი/Ketevan Khitarishvili

კონსტანტინე გამსახურდიას პირადი არქივი – მისი ცხოვრებისა და შემოქმედებითი ლაბორატორიის წყარო (კორნელი კეკელიძის სახელობის საქარ-თველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული მასალის მიხედვით)

The Personal Archive of Konstantine Gamsakhurdia: A Source for His Life and Creative Laboratory (Based on Materials Preserved at the Korneli Kekelidze National Centre of Manuscripts of Georgia)

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი/Korneli Kekelidze National Centre of Manuscripts of Georgia

ლია წერეთელი/Lia Tsereteli

სახისმეტყველური ასპექტები კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებაში
Aspects of Imagery in the Works of Konstantine Gamsakhurdia

თსუ შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი/TSU Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

თამარ ბარბაქაძე/Tamar Barbakadze

კონსტანტინე გამსახურდიას პოემა „ორი რაინდი“

Konstantine Gamsakhurdia's Poem *Two Knights*

თსუ შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი/TSU Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

ნანა გაფრინდაშვილი/Nana Gaprindashvili

„თვალის“ კონცეპტი კონსტანტინე გამსახურდიას რომანში „დიდოსტატის მარჯვენა“

The Concept of the “Eye” in Konstantine Gamsakhurdia's Novel “The Right Hand of the Grand Master”

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ქასმინ სირაძე/Jasmina Siradze

სპარსულ ენაზე დაშიფრული ქმნილება – კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა“

A Creation Encrypted in the Persian Language – “The Right Hand of the Grand Master” by Konstantine Gamsakhurdia

დამოუკიდებელი მკვლევარი/Independent Researcher

მანანა რუსიეშვილი/Manana Rusieshvili

ადამიანისა და ხელოვნური ინტელექტის თარგმანის შედარებითი ანალიზი კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენას“ მიხედვით
A Comparative Analysis of Human and Artificial Intelligence Translation in Konstantine Gamsakhurdia’s *The Right Hand of the Grand Master*

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ზოია ცხადაია/Zoia Tskhadaia

ბოლშევიკური ტოტალიტარიზმის ფარული შრეები კონსტანტინე გამსახურდიას რომან „დიდოსტატის მარჯვენაში“

Hidden Layers of Bolshevik Totalitarianism in Konstantine Gamsakhurdia’s Novel *The Right Hand of the Great Master*

თსუ შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი/TSU Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

ზურაბ რუხაძე/Zurab Rukhadze

ე.წ. „მონარქიულ-სეკულარული“ საკითხი კონსტანტინე გამსახურდიას „კონსტანტინეს დიდოსტატის მარჯვენის“ მიხედვით

The Issue of the So-Called “Monarchical-Secular” Relationship Between State and Church According to Konstantine Gamsakhurdia’s *The Right Hand of the Grand Master*

დამოუკიდებელი მკვლევარი/Independent Researcher

მამია სურმავა/Mamia Surmava

ისტორია და ყოფიერების პრობლემატიკა კონსტანტინე გამსახურდიას პროზაში

History and the Problematics of Being in the Prose of Konstantine Gamsakhurdia

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/Ivane Javakhishvili Tbilisi State University

13.30 – 14.00

შესვენება/Break

14.00 – 17.30

სხდომა II Session

ილია ჭავჭავაძის გამზ. N1, თსუ-ს I კორპუსი, II სართული, ოთახი 202
1 Ilia Chavchavadze Avenue, TSU 1st Building, 2nd floor, Room 202

სხდომის თავმჯდომარე – ცირა ბარამიძე Chairperson – Tsira Baramidze

ცირა ბარამიძე/Tsira Baramidze

სინტაქსური სინტაგმატიკის თავისებურებანი კონსტანტინე გამსახურდიას პროზაში

The Peculiarities of Syntactic Syntagmatics in the Prose of Konstantine Gamsakhurdia

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ბელა წიფურია/Bela Tsipuria

ქართველთა ავტობიოგრაფიული და იდენტობა კონსტანტინე გამსახურდიას რომანში „დიონისოს ღიმილი“

Georgians' Auto-Image and Identity in Konstantine Gamsakhurdia's Novel "The Smile of Dionysus"

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი/Ilia State University

ლიანა(ლია) ბაშელეიშვილი/Liana(Lia) Basheleishvili

კონსტანტინე გამსახურდიას „დიონისოს ღიმილის“ კულტურულ-კოგნიტური რაკურსები

Cultural-Cognitive Perspectives on Konstantine Gamsakhurdia's "The Smile of Dionysus"

თსუ შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტი/TSU Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

ნათია ფუტკარაძე/Natia Putkaradze

R-ები სტრუქტურის ზმნათა აქტიური და ავტოაქტიური სემანტიკისათვის კონსტანტინე გამსახურდიას „დიონისოს ღიმილის“ მიხედვით

For the Active and Reflexive Semantics of the Verbs of the R-EBI Structure

According to "The Smile of Dionysus" by Konstantine Gamsakhurdia

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/Ivane Javakhishvili Tbilisi State University

მარიამ მარჯანიშვილი/Mariam Marjanishvili

„დავით აღმაშენებლის“ ნაციონალურ-პოლიტიკური რაობა

The National-Political Identity of “David the Builder”

ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი/Kutaisi State Historical Museum

ლია ნადირაძე/Lia Nadiradze

კონსტანტინე გამსახურდიას „ფოტოგრაფი“ (ფსიქოლოგიური პორტრეტი)

Konstantine Gamsakhurdia’s “Photographer” (Psychological Portrait)

საქართველოს ბიზნესის აკადემია/Business Academy of Georgia

მაია ცერცვაძე/Maia Tsertsvadze

ეპოქის ანარეკლი კონსტანტინე გამსახურდიას პირად წერილებში

Reflection of the Epoch in the Personal Letters of Konstantine Gamsakhurdia

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი/Georgian Technical University

თამარი თამარელა წოწორია/Tamari Tamarela Tsotsoria

კონსტანტინე გამსახურდიას „მარია სტელა“ – ერთი ლექსის ანალიზი

Konstantine Gamsakhurdia’s “Maria Stella” – Analysis of One Poem

დამოუკიდებელი მკვლევარი/Independent Researcher

ლელა წიფურია/Lela Tsiphuria

კულტურათა დიალოგი საფესტივალო პროგრამაში

Dialogue of Cultures in the Festival Program

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/Ivane Javakhishvili Tbilisi State University

თეზისები/Abstracts

ცირა ბარამიძე

Tsira Baramidze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

Faculty of Humanities

**სინტაქსური სინტაგმატიკის თავისებურებანი
კონსტანტინე გამსახურდიას პროზაში**

**The Peculiarities of Syntactic Syntagmatics in the Prose of
Konstantine Gamsakhurdia**

საკვანძო სიტყვები: სინტაქსური სინტაგმატიკა, გამსახურდია, პროზა,
თავისებურებანი, სტილი

Keywords: syntactic syntagmatics, Gamsakhurdia, prose, peculiarities, style

მოხსენებაში განხილულია სინტაქსური სინტაგმატიკის თავისებურებანი კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებაში. კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებაში **სინტაქსური სინტაგმატიკის თავისებურებანი** შეიძლება აიხსნას როგორც მისი მხატვრული ენის ორგანიზების ერთ-ერთი მთავარი მექანიზმი. ამ თვალსაზრისით შესწავლილია სიტყვათა სინტაგმატიკა - თუ **როგორ ერთიანდება სიტყვები, შესიტყვებები და წინადადებები თანმიმდევრულ სინტაქსურ ჯაჭვებად**, რა ტიპის მიმართებები იქმნება მათ შორის და როგორ ემსახურება ეს ყველაფერი აზრის, ემოციისა და სტილის გამოკვეთას. ეს თავისებურებები რამდენიმე მიმართულებით შეიძლება განიმარტოს ამგვარად:

➤ პირველი არის **გაფართოებული, მრავალშრიანი წინადადება**. გამსახურდიასთვის დამახასიათებელია რთული სინტაქსური კონსტრუქციები, სადაც მთავარი წინადადება ხშირად იტვირთება დამატებითი განსაზღვრებითი, გარემოებითი თუ ჩართული მონაკვეთებით. ამის შედეგად ტექსტი იძენს დინამიკურ, უწყვეტ მოძრაობას და აზრი იშლება ეტაპობრივად, თითქოს თანდათან ხსნის საკუთარ სიღრმეს.

➤ მეორე თავისებურებაა **რიტმული სინტაქსი**. გამსახურდიას წინადადება მხოლოდ აზრის გადმოცემის ერთეული არ არის; იგი ხშირად მწყობრადაა აგებული ინტონაციური და ემოციური ეფექტისთვის. ამის გამო გვხვდება: პარალელური კონსტრუქციები, განმეორებები, ერთგვაროვანი წევრების ჯაჭვები, პერიოდული აგება. ეს ყველაფერი ტექსტს ანიჭებს ორატორულ განწყობას, პათოსს და შინაგან მუსიკალურობას.

➤ მესამე ნიშანია **ინვერსიისა და სიტყვათრიგის თავისუფალი გამოყენება**. გამსახურდია ხშირად არღვევს ნეიტრალურ სიტყვათრიგს, რათა გამოკვეთოს კონკრეტული სიტყვა, შექმნას მაღალი სტილი, ან გააძლიეროს ემოციური ტონი. ასეთი გადანაცვლება მის პროზას აძლევს არქაულ, ეპიკურ და ზოგჯერ პოეტურ შეფერილობას.

➤ მეოთხე არის **სინტაქსური თავმოყრა**. მის ტექსტებში ხშირად ერთი სახის სინტაგმები ზედიზედაა დალაგებული, რის შედეგადაც იქმნება სიმრავლის, მასშტაბურობის, ან შინაგანი დაძაბულობის ეფექტი. განსაკუთრებით თვალსაჩინოა ეს ბუნების აღწერის წინადადებებში, ფსიქოლოგიურ მონოლოგებსა და ეროვნული თუ ისტორიული თემატიკის ეპიზოდებში.

➤ მეხუთე თავისებურებაა **სინტაქსისა და სემანტიკის მჭიდრო კავშირი**. სინტაქსური წყობა არ არის ნეიტრალური ფორმა; იგი უშუალოდ მონაწილეობს მნიშვნელობის შექმნაში. მაგალითად, გრძელი და ზერთული (დატოტვილი) წინადადება შეიძლება გამოხატავდეს შინაგან ფიქრს, სულიერ

მღელვარებას, ან მასშტაბურ ხედვას, ხოლო მოკლე, შეკვეცილი კონსტრუქცია – დაძაბულობას, ტრაგიზმს, გადაწყვეტილების სიმტკიცეს.

ამგვარად, კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებაში სინტაქსური სინტაგმატიკის თავისებურებანი ვლინდება ზერთული წინადადებების სიჭარბით, პარალელურ და რიტმულ კონსტრუქციებში, ინვერსიულ წყობაში, სინტაქსურ დაგროვებასა და ინტონაციური ორგანიზების განსაკუთრებულ მნიშვნელობაში; ეს ნიშნები მის პროზას ანიჭებს პოეტურობას, ორატორულ პათოსს, არქაულ-ეპიკურ ტონს და ემოციურ-ფსიქოლოგიური სიღრმის გამომხატვის მაღალ ხარისხს, პოეტური პროზის ელფერს.

This paper examines the distinctive features of syntactic syntagmatics in the works of Konstantine Gamsakhurdia. These features may be interpreted as one of the principal mechanisms underlying the organization of the author's artistic language. Within this framework, the syntagmatics of words is analyzed – specifically, how words, phrases, and sentences are combined into coherent syntactic chains, what types of relationships are formed among them, and how these processes serve to articulate meaning, emotion, and stylistic nuance. These characteristics can be outlined along several principal dimensions.

➤ First, particular attention should be paid to the prevalence of extended, multi-layered sentences. Gamsakhurdia's style is marked by complex syntactic constructions in which the main clause is frequently supplemented by additional attributive, adverbial, and parenthetical elements. As a result, the text acquires a sense of dynamism and continuity, while meaning unfolds progressively, creating an effect of gradual revelation of depth.

➤ Second, a notable feature is rhythmic syntax. In Gamsakhurdia's prose, the sentence functions not merely as a unit of information transmission; rather, it is often structured to achieve specific intonational and emotional effects. This is evident in the use of parallel constructions, repetitions, chains of homogeneous elements, and periodic structures, all of which impart an oratorical tone, expressive intensity, and internal musicality to the text.

➤ Third, the free use of inversion and flexible word order constitutes another defining feature. The author frequently departs from neutral word order to emphasize particular elements, create an elevated stylistic register, or intensify emotional expression. Such syntactic rearrangements lend his prose an archaic, epic, and at times poetic coloration.

➤ Fourth, syntactic accumulation is a prominent characteristic. His texts often exhibit the sequential arrangement of homogeneous syntagmatic units, producing an effect of multiplicity, scale, and internal tension. This is particularly evident in descriptions of nature, psychological monologues, and passages dealing with national or historical themes.

➤ Fifth, there is a close interrelation between syntax and semantics. Syntactic structure does not function as a neutral form; rather, it actively participates in the construction of meaning. For instance, long and complex sentences frequently convey internal reflection, emotional agitation, or a broad conceptual vision, whereas short, condensed constructions express tension, tragic element, and decisiveness.

In conclusion, the distinctive features of syntactic syntagmatics in Gam-sakhrudia's works are manifested in the dominance of multi-layered sentences, rhythmic and parallel constructions, inversion, syntactic accumulation, and the particular importance of intonational organization. These features endow his prose with poetic quality, oratorical pathos, an archaic-epic tone, and a high degree of emotional and psychological depth, thereby giving it the distinctive character of poetic prose.

თამარ ბარბაქაძე

Tamar Barbakadze

თსუ შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
TSU Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

კონსტანტინე გამსახურდიას პოემა „ორი რაინდი“

Konstantine Gamsakhurdia's Poem *Two Knights*

საკვანძო სიტყვები: პოემა „ორი რაინდი“, პოეტური ფოლკლორი

Keywords: poem “Two Knights”, poetic folklore

ქართული ლექსის რეფორმა (1915 წ.) XX ს. 10-იანი წლებიდან ორ მიმართულებას ემყარებოდა: ეპიგონიზმის დაძლევა და ეროვნული პოეზიის ევროპულ სალექსო კულტურასთან მიახლოებას.

XX ს. 10-20-იანი წლების ქართულ პეიოდიკაში გამოქვეყნებული კონსტანტინე გამსახურდიას პოეტური თხზულებანი ადასტურებს, რომ ავტორი თავდაპირველად, რეფორმამდე (1915 წ.), ქართული ლექსის განახლებას შეეცადა ეროვნული პოეტური ფოლკლორის შინაარსისა და სტრუქტურის ადაპტირებით სალიტერატურო ლექსთან, ამ მხრივ ევროპული კულტურის გამოცდილების გაზიარებისას კ. გამსახურდია ითვალისწინებდა ჰაინრიხ ჰაინესა და გოეთეს მდიდარ პოეტურ მემკვიდრეობას: თარგმნიდა ჰაინეს, გოეთეს ლექსებს, რომელთა მთავარი სათქმელი აზრისა და სტრუქტურის თანხმობა, ჰარმონია; მგოსანი კი „ტკბილხმოვანი მომღერალიცაა და დაღვრემილი წინასწარმეტყველიც, ერთსა და იმავე დროს, მეგობარი – ღმერთებისა და ადამიანების (კ. აბაშისპირელი, გიოტედან, „მგოსნის დიდება და ბედნიერება“, ჟ. „ოქროს ვერძი“, 1913, №2).

გალაკტიონისა და „ცისფერყანწელების“ სალექსო რეფორმის მერე – მოდერნისტული, ექსპრესიონისტული, ურბანისტული ლირიკის მოტივების, მხატვრული აზროვნების სისტემის, პოეტური სტილისტიკის, სალექსო სტრუქტურის მორგება-შეთანხმებით ეროვნულ ვერსიფიკაციულ პარამეტრებთან, კ. გამსახურდიამ ამგვარი ლექსებით – ნიცშეანური მსოფლმხედველობით, მისტიკურ-ქრისტიანული ფილოსოფიურ-რელიგიური მოტივებით („ქრისტე პარიზში 1999 წელს“, „Maria Stella“, „ბერლინი“, „მიზანტროპი“, სონეტები „ფრიდრიჰ ნიცშეს“ და ა.შ.) გაამდიდარა ქართული ლექსის ისტორია და თეორია.

ქართული კლასიკური ლექსის მეტრისა და რიტმის, სტროფიკის, რითმის გათვალისწინება და მისი შერწყმა ხალხური პოეზიის საზომებსა და რითმასთან დამახასიათებელი იყო ევროპელი რომანტიზმისა და ნეორომანტიზმის წარმომადგენლებისათვის. კ. გამსახურდიას ადრეული პოეზია მკაფიოდ აირეკლავს დასავლურ ორიენტაციას.

ჟურნ. „ოქროს ვერძში“ (1913. 30 ივნისი. №5) გამოქვეყნებული კ. აბაშისპირელის (კონსტანტინე გამსახურდია) „ნაწყვეტი პოემიდან „ორი რაინდი“ (ლეგენდა). კარი პირველი“ სამეცნიერო ლიტერატურაში თითქმის არ არის შესწავლილი, ამიტომაც საგანგებოდ ვიკვლევთ ამ ტექსტის საზრისსა და სტრუქტურას.

ტექსტი იწყება პირველი-მეორე ხმების, დაჭრილი შველის მაძიებელთა, კითხვა-პასუხით რაც მალე მონადირისა და მზეჭაბუკის პერსონაჟებად

გარდაისახება. ეს დიალოგი შესრულებულია მაღალი შაირით (4/4), ხალხური ლექსის ინტერვალური რითმით (xaxa). პოემის პირველ კარში მკითხველი ეცნობა ზღვის ფერიების სიმღერას, რომლის შემსრულებელთა სანახავად მიეშურება მზეჭაბუკი, მეფისწული, დასახმარებლად მიჰყვება ერთგული მონადირე ქართული პოეტური ფოლკლორის ცნობილი შედეგრი: „მზევ, შინა...“ ორიგინალურად არის აჟღერებული კ. აბაშისპირელის (კ. გამსახურდიას) მიერ ზღვის ფერიების (სირინოზების) ორი წყების მიერ:

I. ჰე, ჭაბუკო, დაჭრილ ნადირს	4/4	x
სანამ გინდა სდიო,	4/4	a
იო, იო –	4	a
მზევ, შინ შემოდიო...	4/4	a
II. ქალ ეთერა	4	a
შენ წახვედი,	4	b
მე მით დავობლდიო	2/4	c
დაისერა	4	a
ჩვენი ბედი	4	b
მოსთქვამს მინდვრის სიო...	2/4	c
იო, იო	4	d
მზევ, შინ შემოდიო...	2/4	d

საანალიზო ტექსტი სრულდება მოხუცი ჭინკას, მჭედლის, სიმღერით. ამ ავ, ბოროტ ძალას უნდა შეებრძოლოს ორი, ლეგენდარული რაინდი. ბებერი ჭინკას წყევლა-შეჩვენება შემზარავია:

წყეულ იყავ, ვის ჩემ სულში	4/4	a
ეჭვის გველი ჩაგისახავს	4/4	b
დე, მსოფლიოს ბნელ უფსკრულში	4/4	a
მიწა ნათელს ნულარ ნახავს	4/4	b
ცხოვრების ხეს წყევლამ ჩემმა	4/4	a
ყოფნის კვირტი შეაყაროს	4/4	b
არსებობის მაჯის ცემა	4/4	a
ვით ზღვის ტალღა მიაძინოს –	4/4	b
შექმნილი და შემოქმედი	4/4	x
ამიერთ წყეულ იყოს.	4/4	b

ბოროტი ძალის დასამარცხებლად მიმავალი ორი რაინდის ლეგენდა, გალექსილი ზღაპარი, პირველი მსოფლიო ომის წინ ქართულ პერიოდიკაში დაბეჭდილი, უთუოდ დააინტერესებდა მკითხველს. კ. აბაშისპირელი შესაფერის საზომსა და რითმას ირჩევს სათქმელის, იდეის გადმოსაცემად; ხალხური „მზევ, შინ შემოდით!“ სინათლის, სიკეთის გამარჯვების იმედს აძლევს პოემის მკითხველს და ქართული ზღაპრის დღევგრძელობას ადასტურებს.

აუცილებელია პოემის სრული ტექსტის მიკვლევა და გამოცემა.

The reform of Georgian verse (1915), which began in the 1910s, was based on two directions: the overcoming epigonism and bringing national poetry closer to European poetic culture.

Konstantine Gamsakhurdia's poetic works, published in Georgian periodicals during the 1910s-20s, show that even prior to the 1915 reform he sought to renew Georgian poetry by adapting the content and structure of traditional poetic folklore to literary verse. When sharing the experience of European culture, the writer drew on the rich poetic legacy of Heine and Goethe. He translated the poems by both poets, placing particular emphasis on the harmony between meaning and form. In this framework, the poet is seen as "both a sweet-voiced singer and a wandering prophet at the same time, a friend of gods and men" (K. Abashipireli, from Goethe, *The Glory and Happiness of a Poet*, periodical *Okros Verdzi*, 1913, # 2).

Following the reform of Georgian versification associated with Galaktion and the "Blue Horns", which involved adjusting the motifs of modernist, expressionist, urban lyricism, as well as poetic thought, style, lyrical structure to the national verse parameters, K. Gamsakhurdia enriched the history and theory of Georgian poetry. His works shaped by a Nietzschean worldview, imbued with mystical-Christian philosophical and religious motifs (include such poems as *Christ in Paris in 1999*, *Maria Stella*, *Berlin*, *Misanthrope*, the sonnet cycle *Friedrich Nietzsche*, etc. The consideration of the meter and rhythm, strophe, rhyme of Georgian classical poetry and its blend with the metrical and rhyming patterns of folk poetry reflects tendencies characteristic of representatives of European Romanticism and Neo-Romanticism. In this context, K. Gamsakhurdia's early poetry demonstrates a marked Western orientation.

“The excerpt from the poem *Two Knights* (legend): Part I” by K. Abashpireli (Konstantine Gamsakhurdia), published in the journal *Okros Verdzi* (June 30, 1913, No. 5), has received little attention in scholarly literature. Hence, this study is focused on its meaning and structure.

The text opens with a question-and-answer conversation between two voices, seekers of a wounded roe deer, who soon transforms into the images of the hunter and Mzechabuki (sun youth). This dialogue is rendered in high verse (4/4 meter), with a folk 3-line interval rhyme (xaxa). In the opening stanza, the reader is introduced to the song of the sea fairies, toward which the king’s son Mzechabuki rushes to behold, accompanied by the faithful hunter. The celebrated masterpiece of Georgian poetic folklore refrain: “Sun inside and sun outside...” is originally voiced by two groups of sea fairies:

I. Hey, chabuko, dachril nadirs	4/4	x
Sanam ginda sdio,	4/4	a
io, io –	4	a
mzev, shin shemodio...	4/4	a
II. kal etera	4	a
Shen tsakhvedi	4	b
Me mit davobldio	2/4	c
daisera	4	a
chveni bedi	4	b
mostkvams mindris sio...	2/4	c
io, io	4	d
mzev, shin shemodio...	2/4	d

The analytical text is ended with the song of the old Chinka, the blacksmith. The two legendary knights are called upon to confront this malevolent force. The curse of the old Chinka’s cursed monster terrifies:

tskeul ikav, vis chem sulshi	4/4	a
echvis gveli chagisakhavs	4/4	b
de, msoplios bnel upskrulshi	4/4	a
mitsa natels nughar nakhavs	4/4	b
tskhovrebis khes tskevlam chemma	4/4	a
kopnis kvirti sheakaros	4/4	b
arsebobis majis tsema	4/4	a
vit zghvis talgha miadzinos –	4/4	b
shekmnili da shemokmedi	4/4	x
amierit tskeul ikos.	4/4	b

The legend of two knights setting out to defeat an evil force, a fairy tale, published in a Georgian periodical before the First World War, would undoubtedly have interested the reader. K. Abashpireli chooses an appropriate meter and rhyme to convey the poem's message, idea; the folk refrain "Sun, come inside!" instills hope in the triumph of light over darkness and affirms the enduring vitality of Georgian folklore.

The publication of the poem's complete text therefore remains a necessary scholarly task.

ლიანა (ლია) ბაშელეიშვილი

Liana (Lia) Basheleishvili

თსუ შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტი
TSU Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

**კონსტანტინე გამსახურდიას „დიონისოს
ღიმილის“ კულტურულ-კოგნიტური რაკურსები“**

**Cultural-Cognitive Perspectives on Konstantine
Gamsakhurdia’s “The Smile of Dionysus”**

საკვანძო სიტყვები: „დიონისოს ღიმილი“, მოდერნიზმი, „ცნობიერების
ნაკადი“, „დაკარგული თაობა“

Keywords: “The Smile of Dionysus”, modernism, “Stream of Consciousness”,
“Lost Generation”

კ. გამსახურდიას „დიონისოს ღიმილის“ კულტურულ-კოგნიტური რაკურსები“ ეძღვნება ჟანრობრივი თვალსაზრისით ურთულესი რომანის კონტექსტების დადგენის მცდელობას, რომელიც განპირობებულია ეპოქალური ცვლილებებით ევროპულ ლიტერატურაში. „დიონისოს ღიმილის“ პრონოსი, ანუ ლინეარული დრო, რომელიც რომანში ფიქსირდება – 1917-1919 წლებია. თუმცა მისი ერთ-ერთი კონტექსტი „უდროო დროც“ არის, ანუ მარადიული ჟამი, რომელიც ენაცვლება ლინეალურ პრონოსსა და ქმნის ე.წ. „უჟამო ჟამის“, მარადიული დროის სახისმეტყველებას, ქრისტიანული და წარმართული მისტიერიების (დიონისეს და ქრისტეს) ლოკუსების შემოტანით.

რომანში ერთმანეთს მჭიდროდ ერწყმის ეპოქის ორი მეტოქე — მოდერნიზმი და რეალიზმი, რომლებიც ქმნიან ერთიან მხატვრულ ქსოვილს. რომანის მთავარი გმირის კონსტანტინე სავარსამიძის სამყაროს სურათი გარემომცველი აბსურდითაა ნაკვები. ეს ალბათ მწერლის პასუხი გახლდათ პირველი მსოფლიო ომისა და რუსეთის რევოლუციის, ევროპაში მიმდინარე პოლიტიკურ და რელიგიური პროცესების სისტემურ გამოწვევებზე.

„დიონისეს ღიმილში“ „ბუჰხალტერების ეპოქის“ ლინეარული დრო მძლავრად ხშიანობს. მისი კონტექსტებია ბირჟების, პრესის და ჟურნალისტების, თეატრების, კაფეების, გამოფენების, სალონების, პარიზისა და ბერლინის, რომისა და ლათინურ-გერმანულ ცივილიზაციათა ტროპების შემოტანა რომანში და ქართულ ენაზე ამეტყველება.

„დაკარგული თაობის“ გმირია კონსტანტინე სავარსამიძე. მოდერნიზმის ესთეტიკის გმირთა მოდელები ეპოქამ წარმოშვა. იგი მარგარეტ მიდისა (1901-1978) და გენიალური ანრი ბერგსონის ფილოსოფიური ნააზრევით იკვებება. უკანასკნელს კონსტანტინე გამსახურდია სორბონაში უსმენდა, ანრი ბერგსონს (1859-1941).

„ცხოვრების ფილოსოფია“, ინტუიციის და „ცნობიერების ანალიზის“ თეორიული პოსტულატები, ეპოქის გაახალგაზრდავების მარგარეტ მიდისეული იმპულსები თავისებურად ხშიანობს რომანში. ბერგსონის ფილოსოფიამ, როგორც ჩანს, უდიდესი გავლენა მოახდინა კონსტანტინე გამსახურდიანზე. „დიონისოს ღიმილში“ ფილოსოფიური ნაკადი და ცოდნა მის შესახებ ტრანსფორმირდა ფილოსოფიური მეთოდებიდან ეფექტურ მხატვრულ მეთოდად ჩამოყალიბებამდე.

K. Gamsakhurdia's "The Smile of Dionysus" is dedicated to an attempt to establish the contexts of a novel that is difficult in terms of genre, which is conditioned by epochal changes in European literature. The chronosis, or linear time, of "The Smile of Dionysus" is fixed in the novel – 1917-1919. However, one of its contexts is also "timeless time", or eternal time, which replaces the linear chronosis and creates the so-called "timeless time", the metaphor of eternal time, by introducing the loci of Christian and pagan mysteries (Dionysus and Christ).

The novel closely combines two rivals of the era – modernism and realism, which create a single artistic fabric. The picture of the world of Konstantine Savarsamidze, the main character of the novel, is nourished by the surrounding absurdity. This was probably the writer's response to the systemic challenges of the First World War and the Russian Revolution, as well as the political and religious processes taking place in Europe. In "The Smile of Dionysus", the linear time of the "accountants' era" resonates powerfully. Its contexts are the introduction of tropes of the stock exchanges, press and journalists, theaters, cafes, exhibitions, salons, Paris and Berlin, Rome and Latin-German civilizations into the novel and its use in the Georgian language.

Konstantine Savarsamidze is the hero of the "lost generation". The era gave rise to the models of heroes of the aesthetics of modernism. It is nourished by the philosophical thoughts of Margaret Mead (1901-1978) and the genius Henri Bergson. The latter was listened to by Konstantine Gamsakhurdia at the Sorbonne. Henri Bergson's (1859-1941) "philosophy of life", his theoretical postulates on intuition and his "analysis of consciousness" – intertwined with the era's impulses for cultural rejuvenation reminiscent of Margaret Mead – echo within the novel in a peculiar way. It seems that Bergson's philosophy had a great influence on Konstantine Gamsakhurdia. In *The Smile of Dionysus*, a "philosophical stream" and the knowledge about it was transformed from a philosophical method into an effective artistic method.

ნანა გაფრინდაშვილი

Nana Gaprindashvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

Faculty of Humanities

**„თვალის“ კონცეპტი კონსტანტინე გამსახურდიას
რომანში „დიდოსტატის მარჯვენა“**

**The Concept of the “Eye” in Konstantine Gamsakhurdia’s
Novel “The Right Hand of the Grand Master”**

საკვანძო სიტყვები: კონსტანტინე გამსახურდია,
რომანი „დიდოსტატის მარჯვენა“

Keywords: Konstantine Gamsakhurdia, novel “The Right Hand
of the Grand Master”

კონსტანტინე გამსახურდიას რომანი „დიდოსტატის მარჯვენა“ გამოირჩევა სიმბოლური აზროვნების სიმდიდრითა და მხატვრული დეტალების სიღრმით, რომელთაგან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია „თვალის“ კონცეპტი. წარმოდგენილი მოხსენება მიზნად ისახავს თვალის, როგორც მხატვრული და სემანტიკური ერთეულის, მრავალმხრივი გააზრების ანალიზს ტექსტში. კვლევა ფოკუსირდება თვალის ფერზე, თვალთან დაკავშირებულ იდიომატურ გამოთქმებზე და, ზოგადად, „თვალის“ ფუნქციაზე, როგორც ხედვის, შეფასებისა და შინაგანი მდგომარეობის გამომხატველ სიმბოლოზე.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა თვალის ფერის მხატვრულ ფუნქციას. კონსტანტინე გამსახურდიასთან თვალის ფერი პერსონაჟის ხასიათისა და შინაგანი მდგომარეობის სიმბოლურ ნიშანს წარმოადგენს. ტექსტში გვხვდება თვალის ფერის მრავალფეროვანი პალიტრა — ისრისფერი, თაფლისფერი, ღამეზე უშავესი, ზღვისფერი და სხვა, რაც ავტორის მეტაფორული აზროვნებისა და ფერადოვანი ესთეტიკის გამოვლენაა. ფერთა ასეთი სიმრავლე ქმნის ემოციურ და სემანტიკურ ველებს: ღრმა და მუქი ფერები ხშირად უკავშირდება დრამატულ შინაგან დაძაბულობას, საიდუმლოსა და სულიერ ტკივილს, ხოლო ნათელი და თბილი ტონები — სიწმინდეს, შინაგან სინათლესა და ჰუმანურ საწყისს.

თვალის ფერი გამსახურდიას რომანში ფუნქციონირებს როგორც ფსიქოლოგიური და ღირებულებითი კოდი, რომლის მეშვეობითაც ავტორი მკითხველს პერსონაჟთა სულიერი სამყაროს ინტერპრეტაციისკენ მიმართავს.

მწერალი თვალის მეშვეობით ხშირად ქმნის კონტრასტს პერსონაჟის გარეგნულ და შინაგან სამყაროს შორის, რაც განსაკუთრებით მკაფიოდ ვლინდება მთავარ გმირთა აღწერაში. ავტორისათვის თვალის მზერა არ არის მხოლოდ ფიზიოლოგიური აქტის გამომხატულება, რომანში იგი ინტელექტუალური და ეთიკური შეფასების ინსტრუმენტად ყალიბდება.

მოხსენებაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა თვალს, როგორც იდიომატური გამოთქმების შემადგენელ ელემენტს. ტექსტში გამოყენებული გამოთქმები („თვალში ჩახედვა“, „თვალის არიდება“, „თვალის დაჭერა“ და სხვ.) ავლენს პერსონაჟთა ურთიერთობების დინამიკას, ძალაუფლებრივ იერარქიასა და ფსიქოლოგიურ დაძაბულობას. ამგვარი ლექსიკური ერთეულები არა მხოლოდ მეტყველების ბუნებრივობას უზრუნველყოფს, არამედ სიღრმისეულ სიმბოლურ დატვირთვასაც ატარებს.

ზოგადად, „თვალი“ რომანში გვევლინება როგორც შემეცნების, ჭეშმარიტების ძიებისა და სულიერი სიფხიზლის მეტაფორა. ის უკავშირდება როგორც ხელოვანის პასუხისმგებლობას, ისე ადამიანის შინაგან ხედვასა და სინდისს. დასკვნის სახით, მოხსენება აჩვენებს, რომ „თვალის“ კონცეპტი „დიდოსტატის მარჯვენაში“ წარმოადგენს ერთ-ერთ საკვანძო მხატვრულ მექანიზმს, რომლის მეშვეობითაც გამსახურდია ქმნის რომანის ფილოსოფიურ და ესთეტიკურ სიღრმეს.

Konstantine Gamsakhurdia's novel, *The Right Hand of the Grand Master*, is distinguished by its wealth of symbolic thought and the depth of its artistic details, one of the most significant of which is the concept of the “eye”. This report aims to analyze the multifaceted interpretation of the *eye* as both an artistic and semantic unit within the text. The research focuses on eye colour, idiomatic expressions related to the eye, and the general function of the “eye” as a symbol of vision, evaluation, and the expression of internal states.

Special attention is paid to the artistic function of eye colour. In Gamsa-khurdia's work, eye colour represents a symbolic sign of a character's nature and internal disposition. The text features a diverse palette of eye colours – unripe-grape green (*isrimisperi*), amber/honey-coloured, blacker than night, sea-blue, and others – revealing the author's metaphorical thinking and colourful aesthetics. This abundance of colour creates emotional and semantic fields: deep and dark colours are often associated with dramatic internal tension, secrets, and spiritual pain, while bright and warm tones signify purity, internal light, and the humane principle.

In Gamsakhurdia's novel, eye colour functions as a psychological and axiological code through which the author directs the reader toward an interpretation of the characters' spiritual worlds. Through the eye, the writer often creates a contrast between a character's outward appearance and inner world, which is revealed with particular clarity in the descriptions of the protagonists. For the author, the gaze is not merely an expression of a physiological act; in the novel, it develops into an instrument of intellectual and ethical evaluation.

The report also emphasizes the eye as a component of idiomatic expressions. Expressions used in the text (such as “looking into the eye”, “averting the eye”, “catching the eye”, etc.) reveal the dynamics of character relationships, power hierarchies, and psychological tension. Such lexical units not only ensure the naturalness of the speech but also carry profound symbolic weight.

In general, the “eye” appears in the novel as a metaphor for cognition, the search for truth, and spiritual alertness. It is linked to both the responsibility of the artist and the human being’s internal vision and conscience. In conclusion, the report demonstrates that the concept of the “eye” in *The Right Hand of the Grand Master* represents one of the key artistic mechanisms through which Gamsakhurdia constructs the philosophical and aesthetic depth of the novel.

მარიამ მარჯანიშვილი

Mariam Marjanishvili

ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი

Kutaisi State Historical Museum

„დავით აღმაშენებლის“

ნაციონალურ-პოლიტიკური რაობა

The National-Political Identity of “David the Builder”

საკვანძო სიტყვები: დავით აღმაშენებელი, სტალინის ეპოქა, რომანი

Keywords: David the Builder, Stalin’s Era, novel

კონსტანტინე გამსახურდიას ტეტრალოგია „დავით აღმაშენებელი“ დიდი კულტურით, ცოდნითა და ოსტატობით დაწერილი რომანია.

თუმცა ეს წიგნი რომანზე მეტია ქართველებისათვის, რადგან ნაციონალური ეპოსი, მისი ისტორიის, ჰეროდული სულის ქცევაა სახეებად წარმოჩენილი.

თანამედროვე მწერალი კონსტანტინე გამსახურდია, მართლაც ეპოსის პერსპექტივის მაძიებელი, ეროვნული სულის დამცველი და იდეოლოგი გახლდათ.

ამასთან ცხადი იყო ისიც, რომ სტალინის ეპოქაში ვერც დავით აღმაშენებელი იქნებოდა იდეალი და არც მისი მეხოტბე ჯეროვნად დაფასებული. ვინაიდან იმ დროისათვის მხოლოდ ხუთწლედები, სოციალისტური სოფელი, შეჯიბრებები, მანქანა და ტრაქტორი გახლდათ კომუნისტური იდეალები. და, აქედან გამომდინარე, ბუნებრივია ხელისუფლების მიერ ნაკარნახევი სავალდებულო თემები იყო მხოლოდ მნიშვნელოვანი.

ასე რომ, სტალინის ეპოქისათვის ეს მოძველებული შეხედულება თუ ჩვეულება დროთა აღრევას მოასწავებდა მხოლოდ. და, იგი - „დავით აღმაშენებლის“ ცხოვრება და მოღვაწეობა ანაქრონიზმად დარჩებოდა მხოლოდ.

ზემოთქმულიდან გამომდინარე მას ვერც რუსული კრიტიკა მიიღებდა. „დავით აღმაშენებელი“ მხოლოდ საქართველოს და ქართველ ხალხს სჭირდებოდა იმისათვის, რომ გაეღვივებინა ნაციონალური სიამაყის ცეცხლი.

„დავით აღმაშენებელი“ ანტითურქული რომანი იყო, რომელიც ებრძოდა თურქ-სელჯუკებს საქართველოს დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული გამთლიანებისათვის.

ერთი მხრივ, სტალინსა და ბერიას ხელს აძლევდა იმის ჩვენება, რომ ისინი უძველესი ქვეყნისა და კულტურის შვილები იყვნენ. და, საქართველოს ჰყავდა არა მხოლოდ უდიდესი პოეტი შოთა რუსთაველი ან ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი ილია ჭავჭავაძე, არამედ უდიდესი მონარქიც დავით IV ბაგრატიონი.

1944 წლიდან, როცა უკვე მეორე მსოფლიო ომი დასასრულს უახლოვდებოდა, ლავრენტი ბერია ცდილობდა შელახული ნაციონალური ღირსების აღდგენას.

„დავით აღმაშენებელი“, როგორც ანტითურქული რომანი ომის დროს პატრიოტული და გმირული სულის მკითხველს გამარჯვებისათვის განაწყობდა, რადგან საუკუნეთა მანძილზე თურქული საფროთხე ისევ ვერ იქნა

აცილებული და ქართული სახელმწიფოს უძველესი პროვინციები ისევ ოს-მალთა ხელში იყო.

როგორც XII საუკუნეში დავით აღმაშენებელს, ასევე XX საუკუნეში იოსებ სტალინსაც უნდა ებრძოლა თურქული ბნელეთის დასამხობად და სამშობლოს მთლიანობა აღედგინა.

კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებას დიდი იმედით შეჰყურებდა ქართული პოლიტიკური ემიგრაცია, რომლის დასტურია თამარ პაპავას არგენტინიდან გამოგზავნილი წერილი: „ჩვენ სულით და გულით მანდ ვართ, მასთან. ამ დღეს ვულოცავთ ჩვენც მისი მაღლიანი კალმის დიდ გამარჯვებას. ჩვენი ეპოქის „კონსტანტინეს მარჯვენამაც“ ხომ ააგო ახალი სვეტიცხოველი, ძველი, მაგრამ ცხოველი.

მეგობრები მას ეხვევიან და მარად მასთან დარჩებიან...“

Konstantine Gamsakhurdia's tetralogy "David the Builder" is a novel written with great culture, knowledge and skill.

However, this book is more than a novel for Georgians, because the national epic, its history, and the behavior of the heroic spirit are presented in the form of figures.

The modern writer Konstantine Gamsakhurdia was truly a seeker of the perspective of the era, a defender of the national spirit and an ideologist.

At the same time, it was also clear that in the Stalin era neither David the Builder could be an ideal nor his speech properly appreciated. Since at that time only five-year plans, a socialist village, competitions, a car and a tractor were communist ideals. And, therefore, naturally, the obligatory topics dictated by the government were the only important ones.

So, for the Stalin era, this outdated view or custom would only indicate a confusion of times, and the life and work of "David the Builder" would remain only an anachronism.

Consequently, Russian criticism could not have accepted it either. *David the Builder* was needed solely by Georgia and the Georgian people to rekindle the flames of national pride.

"David the Builder" was an anti-Turkish novel that fought against the Seljuks for Georgia's independence and territorial unification.

On the one hand, Stalin and Beria benefited from the fact that they were children of an ancient country and culture. And, Georgia had not only the greatest poet, Shota Rustaveli, or the leader of the national liberation movement, Ilia Chavchavadze, but also the greatest monarch David IV Bagrationi.

Since 1944, when World War II was already drawing to a close, Lavrenti Beria tried to restore the tarnished national dignity.

“David the Builder” as an anti-Turkish novel would prepare the reader for victory in a patriotic and heroic spirit during the war, because for centuries the Turkish threat had not been averted and the ancient provinces of the Georgian state were still in the hands of the Ottomans.

Just as David the Builder in the 12th century, so should Joseph Stalin have fought in the 20th century to overthrow the Turkish darkness and restore the integrity of the homeland.

The Georgian political emigration looked with great hope to Konstantine Gamsakhurdia’s work, as evidenced by Tamar Papava’s letter from Argentina: “We are there with him in spirit and heart. On this day, we also congratulate him on the great victory of his gracious pen. The ‘right hand of Konstantine’ of our era also built a new Svetitskhoveli, old but alive.

Friends embrace him and will always remain with him...”

ლია ნადირაძე

Lia Nadiradze

საქართველოს ბიზნესის აკადემია

Business Academy of Georgia

**კონსტანტინე გამსახურდიას „ფოტოგრაფი“
(ფსიქოლოგიური პორტრეტი)**

**Konstantine Gamsakhurdia’s “Photographer”
(Psychological Portrait)**

საკვანძო სიტყვები: ფოტოგრაფი, ევროპა, ფესვები, სატრფო, სიკვდილი
Keywords: photographer, Europe, roots, love, death

კონსტანტინე გამსახურდიამ ნოველა „ფოტოგრაფი“ 1924 წელს დაწერა. მნიშვნელოვანია სწორედ ამ ტრაგიკული თარიღის სიღრმისეული ასახვა ნოველაში. სიმბოლურ-ალეგორიული მეთოდი მწერლის უმთავრესი ხელწერაა და თავად ეს ეპოქა სიმბოლიზმის ხანაა ქართულ მწერლობაში. ფოტოგრაფი არის პიროვნება, რომელიც არ არის შემოქმედი და თავისი აპარატით ემსახურება რეალობის ზუსტად აღბეჭდვას. მწერალი ევროპელად ხატავს მას, მაგრამ ეს ილუზორული გარემოა, ადამიანის ტრაგედიის ღრმა და ფარული სულისმთავარი შრეები არქეტიპული სიმბოლოებით არის გადმოცემული – სატრფო, რომელიც გარდაიცვალა, მამამისი, რომელიც განასახიერებს ტრაგედიის სათავეს – სატრფოს თვალებით, „შინ დაბრუნება“ და ფესვებთან მიახლების წყურვილი, ტაძარი და უღმერთო გარემო, ცივილიზაცია, რომელიც ანადგურებს მშვენიერებასა და ღვთაებრივს. „სულის დაშლის“ პროცესი ფსიქოლოგიური დრამატიზმით, სიზმარცხადის დაპირისპირებით არის გადმოცემული.

Konstantine Gamsakhurdia wrote the novella “The Photographer” in 1924. It is important to portray this tragic date in the novella in depth. The symbolic-allegorical method is the main signature of the writer, and this era itself is the era of symbolism in Georgian writing. The photographer is a person who is not a creator and serves to accurately capture reality with his device. The writer portrays him as a European, but this is an illusory environment, the deep and hidden spiritual layers of human tragedy are conveyed through archetypal symbols – the beloved who died, his father, who embodies the source of the tragedy – through the eyes of the beloved, “returning home” and the thirst for getting closer to the roots, the temple and the godless environment, civilization that destroys beauty and the divine. The process of “disintegration of the soul” is conveyed through psychological drama, through the contrast between dream and reality.

რუსუდან ნიშნიანიძე

Rusudan Nishnianidze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

Faculty of Humanities

**კონსტანტინე გამსახურდია – პოლიტიკური და
მხატვრული პარადიგმა**

Konstantine Gamsakhurdia – Political and Artistic Paradigm

საკვანძო სიტყვები: კონსტანტინე გამსახურდია, პოლიტიკური და მხატვრული პარადიგმა, მიმართვები, გამოსვლები, ლიტერატურული ტექსტები

Keywords: Konstantine Gamsakhurdia, political and artistic paradigm, addresses, speeches, literary works

დიდი მწერალი – კონსტანტინე გამსახურდია. ყოველი მისი ტექსტი მხატვრულად შეკრულია. ცალკეული ეპიზოდები საინტერესო და მნიშვნელოვანი. აქ არაა არც აზრობრივი და არც მხატვრული ტავტალოგია, არც ზედმეტი ჰეროიკა.

არიან მწერლები, რომელთა ბიოგრაფიული ფაქტები და პარალელურად ნაწარმოებები ერთმანეთისაგან განსხვავდება. ისინი არ ცხოვრობენ საკუთარი გმირების ცხოვრებით, უფრო ფრთხილ, ან ე.წ. „მესამე ნაპირზე“ დგომას ირჩევენ. ქართველი ავტორი გაუბზარავად ერთნაირია და არაერთხელ გაუგონარი სითამამითაც მოიქცევა იმ უსასტიკეს დროში. ნუ დავავიწყდება უმთავრესი, ის რთული და მძიმე ეპოქა. მთავარი ფასეულობები: სამშობლოს უანგარო სიყვარული, მოყვასის ერთგულება, სიკეთის გაცემა, ღირსების შენარჩუნება... ალბათ, სხვაც, მაგრამ ამჯერად აქცენტებს ამაზე გავაკეთებთ. მოხსენებაში მოტანილია პარალელები მწერლის მიმართვიდან (გაზ. სოციალ-ფედერალისტი“ 1921წ. 25 მაისი) და იქვე: ნოველა „დიდი იოსები“; საქართველოს მწერალთა ყრილობა 1926 წელს და პარიზში, „კრებულ „კავკასიონში“ ნაამბობი (1965 წელს გახსენებული) საუკუნის დასაწყისში მომხდარი ამბავი. ამის გვერდით გაანალიზებულია მისი ლექსი „მოვედ სატანავ!“ (1927წ.) 1922 წელს საფრანგეთში გამოშვებული ჟურნალი „თავისუფალი საქართველო“ აღწერს ამავე წლის 30 იანვარს სრულიად საქართველოს განათლებისა და სოც. კულტურის კავშირის მუშაკთა ყრილობას. ჩვენთვის ორი დღის შემდეგ, 1 თებერვალს, მომხდარი ინციდენცია საინტერესო. ეს ფაქტი მხოლოდ უცხოეთში თუ გამოქვეყნდებოდა. მასში მთავარი მონაწილე კონსტანტინე გამსახურდიაა.

როცა მხატვრულ ნაწარმოებებზე ვსაუბრობთ, რასაკვირველია, საგულისხმოა ლიტერატურული რემინისცენციები სხვა ქართველ მწერალთა ტექსტებთან. ამის უშუალო ნიმუშია დემნა შენგელაიას „ბათა ქექია“ და პარალელურად: კონსტანტინე გამსახურდიას ტეტრალოგია „დავით აღმაშენებელი“. ნოველა „ფოტოგრაფი“ ცენზორის უხეში ჩარევითა და ცვლილებებით წლების განმავლობაში რომ იბეჭდებოდა, მხოლოდ 1992 წელს გამოქვეყნდა იმგვარად, რა სახითაც იგი პირველად წაიკითხა მკითხველმა.

გენიალური ქართველი მწერალი დამარწმუნებლად გვიამბობს, ოსტატობით აღწერს გარემოს და პროზის მხატვრული თუ იგავური ენით, სიმბოლოებით, გადმოგვცემს იმ დამაფიქრებელ სათქმელს, რომელზეც უნდა, რომ მისმა მკითხველმაც იფიქროს. ის „ისტორიულ სურათს“ ტოვებს! მისი მიმართვები, გამოსვლები და ლიტერატურული ტექსტები ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია მრავალსაუკუნოვან ქართულ მწერლობაში.

The great writer – Konstantine Gamsakhurdia. Each of his works is artistically unified; every episode is compelling and meaningful. There is neither conceptual nor artistic redundancy, nor any exaggerated heroism.

There are writers whose biographical realities differ from their literary works. They do not live the lives of their own characters; rather, they adopt a more cautious stance, choosing to stand, as it were, on a “third shore”. In contrast, the Georgian author Konstantine Gamsakhurdia remains unwaveringly consistent and, on more than one occasion, acts with extraordinary boldness in that most brutal of times. We must not forget what is most essential – the difficult and harsh epoch in which he lived. His principal values include selfless love for the homeland, loyalty to one’s fellow human beings, the giving of goodness, and the preservation of dignity. There may be others, but for the present discussion, the emphasis will be placed on these.

When discussing literary works, it is, of course, essential to consider literary reminiscences in relation to the texts of other Georgian writers. A direct example of this can be found in Demna Shengelaia’s “Bata Kekhia” and, in parallel, in Konstantine Gamsakhurdia’s tetralogy “David the Builder.” The novella “The Photographer” was, for many years, published with severe censorship and substantial alterations. Only in 1992 was it finally released in the form in which it had originally been presented to readers. The report offers parallels drawn from the writer’s address (published in the newspaper “*Sotsial-Federalisti*”, May 25, 1921), alongside the novella “*The Great Joseph*”; the Congress of Georgian Writers in 1926; and an account published in Paris in the collection “*Kavkasioni*” (recalled in 1965), describing an event that took place at the beginning of the century. In addition, his poem “*Come, Satan!*” (1927) is analyzed. The journal “*Free Georgia*”, published in France in 1922, describes the Congress of Workers of the All-Georgian Union of Education and Socio-Cultural Affairs held on January 30 of that same year. Of particular interest to us is an incident that occurred two days later, on February 1. This fact could only have been published abroad. The central figure involved in this incident is Konstantine Gamsakhurdia.

The distinguished Georgian writer Konstantine Gamsakhurdia narrates with conviction, masterfully depicting his surroundings and, through the artistic and allegorical language of prose enriched with symbolism, conveys profound ideas that invite the reader to reflect. He leaves behind a “Historical Portrait.” His addresses, speeches, and literary works constitute some of the most significant contributions to the centuries-old tradition of Georgian literature.

მანანა რუსიეშვილი

Manana Rusieshvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

Faculty of Humanities

**ადამიანისა და ხელოვნური ინტელექტის თარგმანის
შედარებითი ანალიზი კონსტანტინე გამსახურდიას
„დიდოსტატის მარჯვენას“ მიხედვით**

**A Comparative Analysis of Human and Artificial Intelligence
Translation in Konstantine Gamsakhurdia's *The Right Hand of
the Grand Master***

საკვანძო სიტყვები: კონსტანტინე გამსახურდია, ხელოვნური ინტელექტი, მსატყვრული თარგმანი, უთარგმნელი ერთეულები, შედარებითი ლინგვისტიკა

Keywords: Konstantine Gamsakhurdia, Artificial Intelligence, literary translation, untranslatable units, comparative linguistics

კონსტანტინე გამსახურდიას ენა გამოირჩევა ამაღლებული სტილით, ისტორიული რეალიებითა და კულტურული კოდების სიმრავლით, რაც ხშირად ქმნის ე.წ. „უთარგმნელობის“ ბარიერს.

შემოთავაზებული მოხსენება შეისწავლის და აანალიზებს კონსტანტინე გამსახურდიას რომანის „დიდოსტატის მარჯვენა“ თარგმანს ადამიანური ინტუიციისა (პროფესიონალი მთარგმნელი) და ხელოვნური ინტელექტის (AI) შესაძლებლობების შეპირისპირებით მხატვრული ტექსტის ტრანსკოდირების პროცესში. ანალიზი ეფუძნება ვახტანგ ერისთავის მიერ შესრულებულ ინგლისურ თარგმანსა და თანამედროვე ხელოვნური ენობრივი მოდელის (Gemini) მიერ გენერირებულ ვერსიების შედარებას. ნაშრომში გამოყენებულია შედარებითი და შეპირისპირებითი ანალიზის მეთოდები და კატარინა რაისის ეკვივალენტობის თეორია. კვლევა ფოკუსირებულია რამდენიმე საკვანძო მიმართულებაზე: უთარგმნელი ერთეულები (ტოპონიმები და ანთროპონიმები), იდიომატიკა, ანდაზები და ფერთა სიმბოლიკა.

კვლევის შედეგად იკვეთება, რომ ხელოვნური ინტელექტი ავლენს შედარებით მაღალ სიზუსტეს ტერმინოლოგიურ დონეზე, თუმცა მას უჭირს კონტექსტური ქვეტექსტებისა და სტილისტური ნიუანსების ადეკვატური აღქმა. მეორე მხრივ, ადამიანის მიერ შესრულებული თარგმანი უტყუარია მეტაფორული აზროვნების აღქმისა და გადმოტანის თვალსაზრისით. ხელოვნური ინტელექტის მოდელი ხშირად მიმართავს პირდაპირ თარგმანს იქ, სადაც საჭიროა ხატობრივი ან კულტურული ტრანსფორმაცია. მაგალითად, „სვეტიცხოველი დიდებული სანახავი იყო ბროლისფერ ღამეში.“ შდრ.: *Sveti-Tskhoveli was a magnificent sight in the crystalline night (ადამიანის თარგმანი) და "Sveti-Tskhoveli was a grand sight in the crystal-colored night (Gemini). აქ მთარგმნელი იყენებს ზედსართავ სახელს "crystalline", რომელიც გადმოსცემს არა მხოლოდ ფერს, არამედ ღამის სიწმინდესა და გამჭვირვალობასაც და პირდაპირ ებმის სიტყვას დიდებული (magnificent), რაც მას დედნის საპირწონე მხატვრულ ეკვივალენტად აქცევს. საპირისპიროდ, AI იყენებს ქართული შესატყვისის სიტყვასიტყვით თარგმანს, კომპოზიტს "crystal-colored", რომლის სემანტიკური სტრუქტურაც ნაკლები მხატვრულობით ხასიათდება. საინტერესოა, ასევე, „დიდებულის“ განსხვავებული გამოხატვა თარგმანში (magnificent versus grand). შესაბამისად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ რთული მეტაფორული ეპითეტის გადატანისას, პროფესიონალი მთარგმნელი ეძებს კონტექსტურ და მხატვრულ შესაბამისობას, ხოლო AI მიმართავს სემანტიკურ კალკირებას.*

Konstantine Gamsakhurdia's language is characterised by an elevated style, frequent use of historical realia, and cultural codes, which often create a so-called barrier of "untranslatability".

The proposed paper analyses the English translation of Konstantine Gamsakhurdia's novel, *The "Right Hand of the Grand Master,"* by contrasting human intuition (a professional translator) with the capabilities of Artificial Intelligence (AI) in the process of literary text transcoding. The analysis compares the English translation by Vakhtang Eristavi with a version generated by a modern artificial language model (Gemini). The study employs comparative and contrastive methods, as well as Katharina Reiss's theory of equivalence. It focuses on several key areas: untranslatable units (toponyms and anthroponyms), idioms, proverbs, and colour symbolism. The results indicate that while Artificial Intelligence demonstrates relatively high accuracy at the terminological level, it struggles to adequately perceive contextual subtexts and stylistic nuances. By contrast, human translation is far superior in metaphorical thinking. The AI model often resorts to direct translation where figurative or cultural transformation is required. For example: "სვეტიცხოველი დიდებული სანახავი იყო ბროლისფერ ღამეში" is translated as "Sveti-Tskhoveli was a magnificent sight in the crystalline night" (human translation) versus "Sveti-Tskhoveli was a grand sight in the crystal-colored night" (Gemini). The human translator uses the adjective "crystalline," which conveys not only the colour but also the purity and transparency of the night, making it a metaphorical equivalent of the original. Conversely, the AI uses a direct, word-for-word translation of the Georgian equivalent, the compound "crystal-colored," which is less metaphorical in English. The different renderings of "დიდებული" (magnificent versus grand) are also noteworthy. Preliminary conclusions suggest that when transferring complex metaphorical epithets, as indicated in the above case, the professional translator seeks contextual correspondence, while AI resorts to semantic calquing.

ზურაბ რუხაძე

Zurab Rukhadze

დამოუკიდებელი მკვლევარი
Independent researcher

ე.წ. „მონარქიულ-სეკულარული“ საკითხი
კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის
კონსტანტინეს მარჯვენის“ მიხედვით

The Issue of the So-Called “Monarchical-Secular” Relationship
Between State and Church According to
Konstantine Gamsakhurdia’s *The Right Hand of the Grand
Master*

საკვანძო სიტყვები: „მონარქიულ-სეკულარული“ საკითხი, კ. გამსახურდიას
„დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა“

Keywords: “Monarchical-Scholarly” issue, K. Gamsakhurdia’s “The Right Hand of the
Grand Master”

1. შეიძლება ითქვას, რომ კ. გამსახურდიას „დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა“ თავისი ფაბულურ-სექემატური შინაარსით წარმოადგენს გარკვეულ „ევოლუციურ მიჯნას“. მასში სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობა ნაჩვენებია სეკულარული ფორმით – იმ ისტორიულ კონტექსტში, რომელსაც კლასიკური ეპოქის თავისებურებები აყალიბებს. ყოველივე ეს, ამავდროულად, ნათლად ასახავს საერო და რელიგიურ ხელი-სუფლებათა შორის არსებულ შუალედურ, გარდამავალ კავშირებს.

2. ნაწარმოების ანალიზი იძლევა იმ ქვეტექსტის წაკითხვის პოტენციურ შესაძლებლობასაც, სადაც არის შემდეგი სახის მოცემულობა: ერთმანეთს შეუთავსდეს სახელმწიფოებრივ-აპოლიტიკური პრობლემები, რელიგიური დოგმატიზმის გადაჭრა. ამის პრინციპული მაგალითია მელქსიდეკ კათოლიკოსის პიროვნული ქმედება: მოაქციოს წარმართი ფხოველ-ხევსურნი ქრისტიანულ რჯულზე, რომლის ძალითაც ამავდროულად შესაბამისად ხდება მათი დაქვემდებარება, ერთიანი სახელმწიფოებრივი მმართველობის პოლიტიკურ სტრუქტურაში.

3. ნაწარმოებში ასევე ჩანს გარკვეული ე.წ. „სეკულარული გამოვლინებანიც“, გიორგი I-ის სურვილი – არაქრისტიანული და არაადამიანური მეთოდებით ჩაახშოს ფხოველ-ხევსურთა აჯანყება. შესაბამისად კი, ჰქონდეს ამ მოვლენისადმი აბსოლუტურად წმინდად სახელმიწოფებრივ-პოლიტიკური მიდგომა. ნაკლებად გაითვალისწინოს საეკლესიო სწავლების რჩევა-დარიგებები იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც საქმე, თვით უდიდესი საეკლესიო ბრწყინვალეების, როგორიცაა სვეტიცხოვლის აშენება, საეკლესიო წესების სრულ არქიტექტურულ დაცვას ეხება. ასეთია მისი ცხოვრების პირადი მაგალითიც, სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური მმართველობის თავისებური მოსაზრებით აწყობს ერთგვარ შეთქმულებებს ურჩი ფეოდალების მიმართ და სასტიკად სჯის მათ.

4. ნაწარმოებს ბუნებრივია, გააჩნია ე.წ. „კლასობრივი რომანტიზმის“ მთლიანი შინაარსობრივი მახასიათებლებიც. სახელდობრ, გიორგი მეფისა და კოლონკელიძის ქალიშვილის შორენას ე.წ. „ქალ-ვაჟური“ სიყვარული. ეს სიყვარულის სულიერი ფორმის მორალური გადახვევაა, რაც მკაფიოდ გამოიხატება იმ ნიშანსვეტით, რაც აქტიურადაა დამახასიათებელი რენესანსული ეპოქალური ცვლილებებით, სადაც სიყვარულის საფუძველია არა რელიგიური დოგმატიზმის ეთიკური ფორმა, არამედ მშვიდობიერ-ხორციელი ესთეტიზმი, რომელიც ამავდროულად არ ექვემდებარება გარკვეულ ზნეობრივ ნორმებს და მით უმეტეს, რელიგიურს.

5. სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთანამშრომლობის კონტექსტი განიხილება იმდენად, რამდენადაც ეს აკმაყოფილებს მარტოოდენ სამშობლოსადმი პატრიოტული დამოკიდებულების ფარგლებს, სახელმწიფოებრივ-პიროვნულ ინტერესებს, რამდენადაც მეფის ხელისუფლების ძალაუფლებითი გავლენა თავდაცვისუნარიანი და, შესაბამისად, უსაფრთხოა. რაღა თქმა უნდა, ეს, პატრიოტული მოტივებიდან გამომდინარე, ეკლესიის ინტერესებშიც შედის, მაგრამ ეს არ უნდა აკნინებდეს ეკლესიურ-სულიერი სწავლების, ამ შემთხვევაში ნამდვილ საზოგადოებრივ-სულიერ ღირებულებას. სწორედ აქედან გამომდინარე, მელქისედეკ კათოლიკოსის ნაბიჯებიც მკაცრია; ის აქტიურად მოითხოვს კოლონკელიძის ქალიშვილის შორენას მონაზვნად აღკვეცას, ასევე სვეტიცხოვლის მშენებლობის ქართული დიდებული ტრადიციებით არქიტექტურულ გამშვენებას. ამით ის ცდილობს, ამ ურთიერთობის შინაგანი წინააღმდეგობრიობა ეთიკურად დააბალანსოს.

It can be argued that when discussing the so-called “schematic plot” content of K. Gamsakhurdia’s classic work, *The Right Hand of the Grand Master*, it represents a unique “evolutionary boundary” in the form of a secular relationship between State and Church. This occurs within a historical context shaped by “classical epochal peculiarities”, which simultaneously represents the intersection of purely religious interests, on one hand, and secular, intermediary relations, on the other.

An analysis of the work offers the potential to read a subtext where the following reality exists: the merging of state-apolitical problems with the underlying solutions of religious dogmatism. A fundamental example of this is the personal action of Catholicos Melchizedek: converting the pagan Pkhovians and Khevsurs to the Christian faith, by virtue of which they are simultaneously subordinated to the political structure of a unified state administration.

Nevertheless, the work also reveals certain “secular manifestations” in King George I’s desire to suppress the rebellion of the Pkhovians and Khevsurs using non-Christian and inhumane methods. Consequently, he maintains an absolutely pure state-political approach toward these events. He pays little heed to the advice and teachings of the Church, even when it concerns the construction of the greatest ecclesiastical splendor – Svetitskhoveli – and the adherence to strict architectural church canons. His personal life follows a similar pattern; driven by specific notions

of state-political governance, he orchestrates conspiracies against defiant feudal lords and punishes them severely.

The work naturally possesses the thematic characteristics of “class romanticism”, specifically through the “romantic” love between King George and Shorena, the daughter of Kolonkelidze. This is a moral deviation from the spiritual form of love clearly marked by the shifts characteristic of the Renaissance era. In this context, the basis of love is not the ethical form of religious dogmatism, but rather a soulful-carnal aestheticism that does not subordinate itself to certain moral norms, let alone religious ones.

The context of cooperation between State and Church is considered only insofar as it satisfies the boundaries of patriotic attitudes toward the motherland and state-personal interests, and to the extent that the power of the King’s authority remains capable of defense and, consequently, security. Naturally, based on patriotic motives, this aligns with the interests of the Church; however, this should not diminish the true social-spiritual value of ecclesiastical-spiritual teaching. It is from this perspective that Catholicos Melchizedek’s steps are firm; he actively demands that Kolonkelidze’s daughter, Shorena, be tonsured as a nun, and insists that the construction of Svetitskhoveli be architecturally adorned according to the great Georgian traditions. Through this, he attempts to ethically balance the internal contradictions of this relationship.

სოსო სიგუა

Soso Sigua

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია
The National Academy of Sciences of Georgia

არქეტიპული მოდელები კონსტანტინე გამსახურდიას
შემოქმედებაში და ერთი პარალელი ქართული
მწერლობიდან

Archetypal Models in the Works of Konstantine
Gamsakhurdia and
One Parallel from Georgian Literature

საკვანძო სიტყვები: არქეტიპული მოდელები, კ. გამსახურდიას „მთვარის
მოტაცება“, ქ. ამირეჯიბის „დათა თუთაშხია“

Keywords: archetypal models, Konstantine Gamsakhurdia's "Moon's Abduction",
Chabua Amirejibi's "Data Tutashkhia"

ამჯერად ვეხები ერთ საკითხს - ეს არის არქეტიპული მოდელების პროექცირება კ. გამსახურდიას „მთვარის მოტაცებასა“ და ჟ. ამირეჯიბის „დათა თუთაშხიაში“.

1. „მთვარის მოტაცება“ გამოქვეყნდა 1933-1935 წლებში, „დათა თუთაშხია“ – 1972-1974 წლებში.

2. ორივე რომანი უკავშირდება მთვარის კულტს, რაც ჩანს წიგნების სათაურიდანაც: პირველში ნაციონალურ-პოლიტიკური სიმბოლოა, მეორეში - „ხორცქმნილი“ „სული კრებითი“ პერსონაჟი.

3. ორივე რომანის სიუჟეტურ-აზრობრივი საფუძველია აბელისა და კავენის ბიბლიური მოდელი, ძმათა შუღლი და მტრობა-სიყვარული (თარაშ ემხვარი და არზაკან ზვამბაია, დათა თუთაშხია და მუშნი ზარანდია).

4. არქაულ ტომებში არსებული მამისმკვლელობის ტრადიცია (ჯ.ჯ.ფრეიზერი), რასაც XX საუკუნეში მიეცა ფსიქოანალიტიკური ახსნა (ზ. ფროიდი), გამოხატულია ორივე რომანში (არზაკანი კლავს კაც ზვამბაიას, გუდუნა - დათა თუთაშხიას).

5. ორივეგან ასახულია მეგრული გარემო შესაბამისი გვარ-სახელების კოლორიტის დაცვით.

6. ორივეგან უარყოფით ძალას განასახიერებენ სახელმწიფოს ინტერესების დამცველები – ჩეკისტი არზაკანი და ჟანდარმი მუშნი. ისინი იმარჯვებენ ფიზიკურად და ხელისუფლება მათ აწინაურებს, თუმცა მკითხველის სიმპათია ეკუთვნით დამარცხებულ მეამბოხეებს - თარაშ ემხვარსა და დათა თუთაშხიას.

This time I will touch on one issue – this is the projection of archetypal models in “Moon’s Abduction” by Konstantine Gamsakhurdia and “Data Tutashkhia” by Chabua Amirejibi.

1. “Moon’s Abduction” was published in 1933-1935, “Data Tutashkhia” – in 1972-1974;

2. Both novels are connected to the cult of the moon, which is evident from the titles of the books: in the first novel it is a national-political symbol, in the second – a “made flesh” “spiritual collective” character;

3. The plot and conceptual basis of both novels is the biblical model of Abel and Cain, the feud and enmity-love between brothers (Tarash Emkhvari and Arzakan Zvambaia, Data Tutashkhia and Mushni Zarandia);

4. The tradition of patricide existing in archaic tribes (J.J. Frazer), which was given a psychoanalytic explanation in the 20th century (Z. Freud), is expressed in both novels (Arzakan kills Kats Zvambaia, Guduna – Data Tutashkhia).

5. Both depict the Megrelian environment while preserving the local color of names and surnames.

6. On both sides, the negative force is embodied by the defenders of the state's interests – the Chekist Arzakan and the gendarme Mushni. They win physically and the government promotes them, although the reader's sympathy belongs to the defeated rebels – Tarash Emkhvari and Data Tutashkhia.

ჟასმინ სირაძე

Jasmina Siradze

დამოუკიდებელი მკვლევარი
Independent Researcher

სპარსულ ენაზე დაშიფრული ქმნილება -
კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა“

A Creation Encrypted in the Persian Language –
The Right Hand of the Grand Master by Konstantine
Gamsakhurdia

საკვანძო სიტყვები: სპარსული, დაშიფრული, დიდოსტატი, მარჯვენა,
ალგორითმი

Keywords: Persian, encrypted, grand master, right hand, algorithm

1. რომანის ტექსტის ამბივალენტური კითხვის აუცილებლობა, რომელშიც ამოიკითხება ორ დროში - წარსული და აწმყო - გადათამაშებული მითის ასპექტები.

2. მწერლის მიერ ბოლოთქმაში საგანგებოდ ჩაწერილი ორსაფეხურიანი ალგორითმის სიმბოლურად გააზრება, პროლოგსა და ეპილოგში დამატებითი ინტერპრეტირებისათვის მოცემულ დებულებებთან ერთად.

3. ჰიპოთეტურად, რომანის წაკითხვის მცდელობა ფაუსტური პარადიგმის მიხედვით, რათა ხელოვნებისა და სიყვარულის ტრაგიკული დილემის ფონზე ამოვიკითხოთ (ნაწილობრივ) რომანის დაფარული დედააზრი.

4. ფარსმან სპარსი – მეფისტოფელი და ასევე, საქართველოს დამპყრობელი ქვეყნების კრებსითი სახე.

5. ხუროთმოძღვარ კონსტანტინე არსაკიძისა და გიორგი მეფის საერთო მიზნის – სვეტიცხოვლის ტაძრის აგების საიდუმლო შინაარსი.

6. მწერლის ავტობიოგრაფიული და ისტორიული ფაქტების (ორ დროში) გადაკვეთა საქართველოს მისტიკური ისტორიის შინაარსში.

1. The necessity of an ambivalent reading of the novel's text, in which aspects of a myth replayed in two temporal dimensions – past and present – can be discerned.

2. A symbiotic interpretation of the two-stage algorithm deliberately written by the author in the afterword, together with the propositions given in the prologue and epilogue for additional interpretation.

3. Hypothetically, an attempt to read the novel according to the Faustian paradigm, in order to reveal (partially) the hidden core idea of the novel against the background of the tragic dilemma between art and love.

4. Parsman the Persian as a Mephistophelian figure, and at the same time a collective image of the countries that conquered Georgia.

5. The hidden meaning of the shared goal of the architect Konstantine Arsakidze and King Giorgi – the construction of Svetitskhoveli Cathedral.

6. The intersection of the writer's autobiographical and historical facts (across two temporal dimensions) within the content of Georgia's mystical history.

მამია სურმავა

Mamia Surmava

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Faculty of Humanities

**ისტორია და ყოფიერების პრობლემატიკა კონსტანტინე
გამსახურდიას პროზაში**

**History and the Problematics of Being in the Prose of
Konstantine Gamsakhurdia**

საკვანძო სიტყვები: ისტორიული ცნობიერება, ყოფიერების პრობლემატიკა, ეგზისტენციალური ისტორიზმი, ისტორიული ნარატივი, ფილოსოფიური რეფლექსია

Keywords: historical consciousness, problematics of Being, existential historicism, historical narrative, philosophical reflection

1. კონსტანტინე გამსახურდიას პროზაში ისტორია და ფილოსოფია ქმნის ერთიან ინტერპრეტაციულ ველს, სადაც ისტორიული თხრობა მუდმივად გადადის ეგზისტენციალურ და მეტაფიზიკურ განზომილებაში. მწერალი ისტორიულ ფაქტს არ განიხილავს როგორც თვითკმარ მონაცემს. იგი მას აზრობრივად ამუშავებს და აქცევს ყოფიერების პრობლემატიკის გამომხატველ ფორმად.

2. გამსახურდიასთვის ისტორია არის ეროვნული სულის დრამატული გამოვლენა. მისი ტექსტები ცდილობს, აჩვენოს, რომ ისტორიული პროცესები განისაზღვრება არა მხოლოდ პოლიტიკურ-სტრატეგიული ძალებით, არამედ სულიერი ენერგიით, ნებითა და კულტურული მისიის განცდით. ამგვარად, ისტორია იკითხება როგორც ღრმა შინაგანი მოძრაობა.

3. ამ ისტორიულ-ფილოსოფიურ ხედვაში ეპოქა არასოდეს არის მხოლოდ დროითი ფონი. იგი მოქმედებს როგორც აზრის ფორმა, რომელშიც ადამიანი საკუთარ თავს ისტორიის მიღმა კი არა, სწორედ ისტორიის შიგნით, ყოფიერების საზღვრულ პირობებში შეიცნობს.

4. „დავით აღმაშენებელში“ ისტორიული ეპოსი მკვეთრად ფილოსოფიურია. მეფის მოქმედებები წარმოჩნდება როგორც თავისუფლების, პასუხისმგებლობისა და სახელმწიფოებრივი გონის პრაქტიკული განხორციელება. აქ ისტორია გადაიქცევა ნებელობის ფილოსოფიურ დრამად, სადაც პიროვნული გადაწყვეტილება ისტორიულ ბედისწერას ეჭიდება.

5. „მთვარის მოტაცებაში“ ისტორიული ფონი უფრო სოციალური და კულტურული ტრანსფორმაციების ქრილში იკითხება. პერსონაჟთა შინაგანი კრიზისი გამოხატავს ეპოქის ღირებულებით რღვევას, რის შედეგადაც ისტორია წარმოდგენილია როგორც ადამიანის თვითიდენტობის გამოცდის სივრცე.

6. აქედან გამომდინარე, ისტორია გამსახურდიასთან მხოლოდ წარსულის თხრობა არ არის. იგი თვითშემეცნების მეთოდია. ისტორიული გამოცდილება მის პროზაში იქცევა იმ ინტელექტუალურ სივრცედ, სადაც ადამიანი საკუთარ თავისუფლებას, დანიშნულებასა და შინაგან საზღვრებს ამოწმებს.

7. ამ კონტექსტში ისტორია გამსახურდიას პროზაში წარმოჩნდება როგორც ყოფიერების გამოვლენის ფორმა. ისტორიული გამოცდილება აქ მხოლოდ მოვლენათა ერთობლიობა კი არ არის, არამედ ის ონტოლოგიური სივრცეა, სადაც ადამიანი საკუთარ არსებობას, საზღვრულობასა და შინაგან საფუძველს უპირისპირდება.

8. გამსახურდიას ფილოსოფიური ხედვა აშკარად ატარებს ნიცშეანური ინდივიდუალიზმის კვალს, თუმცა იგი ორგანულად ერწყმის ქრისტიანულ ისტორიზმს. შედეგად ყალიბდება დაძაბული დიალექტიკა ნებასა და ბედისწერას შორის, რაც მისი ისტორიული ნარატივების შინაგან მამოძრავებელ ძალად გვევლინება.

9. ენობრივ-სტილისტურად ავტორი იყენებს მაღალი რეგისტრის, არქაიზებულ ქართულს, რომელიც ისტორიულ თხრობას ანიჭებს ეპიკურ სიდიადეს და ფილოსოფიურ სიმძაფრეს. ენა აქ მოქმედებს როგორც აზრის ფორმირების ინსტრუმენტი.

10. საბოლოოდ, გამსახურდიას შემოქმედებაში ისტორია და ფილოსოფია ერთიანდება როგორც ეროვნული ყოფიერების გააზრების ორი განუყოფელი განზომილება, სადაც ისტორიული გამოცდილება გადაიქცევა ადამიანის არსებობის უნივერსალური მნიშვნელობების გამოკვლევის სივრცედ.

1. In the prose of Konstantine Gamsakhurdia, history and philosophy form a unified interpretive field in which historical narration constantly shifts into existential and metaphysical dimensions. The writer does not treat a historical fact as a self-sufficient datum; rather, he conceptually processes it and transforms it into an expression of the problematics of being.

2. For Gamsakhurdia, history is the dramatic manifestation of the national spirit. His texts seek to demonstrate that historical processes are determined not only by political and strategic forces but also by spiritual energy, will, and a sense of cultural mission. Thus, history is read as a profound inner movement.

3. Within this historical-philosophical vision, the epoch is never merely a temporal background. It functions as a form of thought in which the human being comes to know oneself not outside history, but precisely within history, under the limit-conditions of existence.

4. In *David the Builder*, the historical epic is distinctly philosophical. The king's actions appear as the practical realization of freedom, responsibility, and statecraft. Here history becomes a philosophical drama of will, in which personal decision confronts historical destiny.

5. In *The Abduction of the Moon*, the historical background is read more through the lens of social and cultural transformations. The inner crises of the

characters express the axiological rupture of the epoch, as a result of which history is presented as a space for testing human self-identity.

6. Consequently, for Gamsakhurdia history is not merely a narration of the past; it is a method of self-knowledge. In his prose, historical experience becomes an intellectual space in which the human being tests freedom, vocation, and inner limits.

7. In this context, history in Gamsakhurdia's prose appears as a mode of the disclosure of being. Historical experience here is not merely a sum of events, but an ontological space in which the human being confronts one's own existence, finitude, and inner ground.

8. Gamsakhurdia's philosophical vision clearly bears the mark of Nietzschean individualism, yet it organically merges with Christian historicism. As a result, a tense dialectic between will and fate emerges, serving as the inner driving force of his historical narratives.

9. Linguistically and stylistically, the author employs high-register, archaized Georgian, which lends historical narration epic grandeur and philosophical intensity. Language here functions as an instrument for the formation of thought.

10. Ultimately, in Gamsakhurdia's work, history and philosophy unite as two inseparable dimensions of understanding national being, where historical experience is transformed into a space for investigating the universal meanings of human existence.

ნათია ფუტკარაძე

Natia Putkaradze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Faculty of Humanities

**R-ები სტრუქტურის ზმნათა აქტიური და ავტოაქტიური
სემანტიკისათვის კონსტანტინე გამსახურდიას
„დიონისოს ღიმილის“ მიხედვით**

**For the Active and Reflexive Semantics of the Verbs of the R-EBI
Structure According to “The Smile of Dionysus” by
Konstantine Gamsakhurdia**

საკვანძო სიტყვები: დიათეზა, ვნებითი გვარი, მწერლის ენა,
კონსტანტინე გამსახურდია, დიონისოს ღიმილი, დამანა მელიქიშვილი,
ბესარიონ ჯორბენაძე

Keywords: diathesis, passive voice, writer's language, Konstantine Gamsakhurdia,
Smile of Dionysus, Damana Melikishvili, Besarion Jorbenadze

წინამდებარე კვლევის მიზანია, დავაკვირდეთ მწერლის ენაში გამოყენებულ **R-ები** ყალიბის ზმნურ ფორმებს სემანტიკური აქტიურობა-პასიურობის ხარისხის განსაზღვრის მიზნით. მწერლის ენის ლექსიკური საგანძურის შესწავლა და მასზე დაკვირვება საშუალებას გვაძლევს, თვალი მივადევნოთ ქართული ენის განვითარებას, ზმნურ ფორმათა შინაგან, ჩარჩოებისგან თავისუფალ, იმანენტურ ბუნებას.

საანალიზო მასალის მოსაძიებლად შევარჩიეთ კონსტანტინე გამსახურდიას **დიონისოს ღიმელში** გამოყენებული ზმნური ფორმები. კონსტანტინე გამსახურდიას თხზულებების ენაში, ცხადია, არ შეიძლება შეგვხვდეს შემთხვევითი ლექსიკური ერთეულები. მის მიერ ჩამოძერწილი თითოეული წინადადება, გარდა იმისა, რომ შეიცავს პერსონაჟთა მიერ ბუნებრივი კომუნიკაციის პროცესში წარმოთქმულ ზმნურ ფორმებს, საერთოქართველური ენისა და კულტურის სიყვარულითაცაა ნაკარნახევი, რაც ნათლად იგრძნობა მისსავე სიტყვებში: *„მე შემოვუშვი ახალ ქართულში მრავალი გარდასული სიტყვა; სამაგიეროდ ასევე უხვად ვასხურე ჩემს ლექსიკას ხევსურულიდან, იმერულიდან, ქართლ-კახურიდან და მეგრულ-გურულ ენაკავებიდან მოტანილი სიტყვები... მე საჭიროდ დავინახე ქართული ტომების (განსხვავებული) ლექსიკის შეკრების ლოზუნგი გადამესროლა და ეს პირველად ვცადე კიდევაც „დიონისოს ღიმელში“ და ჩემს ნოველების წიგნშიაც... სალიტერატურო ქართულის ზრდა არ შეიძლება მარტოდენ გარეგან სესხს – ბარბარიზმებს - დაეყრდნოს. აქ უმთავრესია „შინაგანი სესხი“, ქართული ენაკავებიდან, სვანურ-ჭანურ და ოდიშურ დიალექტებიდან ახალი და უხმარი ლექსიკური მასალის მოხვეჭა...“* (კ. გამსახურდია, რვატომეული, 1980, ტ.V, გვ. 995-956).

ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში, ტრადიციულად, ქართველური ზმნის საკლასიფიკაციო ერთეულად განიხილება გვარის კატეგორია, რომლის განსაზღვრებაც, ძირითადად, მოქცეულია მორფოლოგიურ, ლექსიკურ-გრამატიკულ და სინტაქსურ-მორფოლოგიურ არეალში და, როგორც წესი, ეფუძნება ქართული ენის გრამატიკის სისტემატიზატორის, აკაკი შანიძის კონცეფციას. ბოლო ხანს გამოცემულ მონოგრაფიაში „თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია“, მეოთხე თავში „გვარი – ქართული ზმნის ძირითადი საკლასიფიკაციო ერთეული“ აღნიშნულია, რომ *„ქართველურ ენებში გვართა შეპირისპირება (აქტივი – პასივი) მეტნაკლებად ჩამოყალიბებულ სისტემას ქმნის“* („თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია“, გ. გოგოლაშვილის საერთო რედაქციით, 2011, 420); აღსანიშნავია, რომ ამავე ნაშრომში გამოკვეთილია მთელი რიგი

წინააღმდეგობები, დასმულია შეკითხვები, რომლებიც მოცემული კლასიფიკაციის ფარგლებში პასუხგაუცემელი რჩება. ქართულ ზმნათა კლასიფიცირების პრობლემურ საკითხებს სიღრმისეულად განიხილავდა ბესარიონ ჯორბენაძე: „არის კი ვნებითის ფორმანტები: ი- და ე- პრეფიქსები და -დ სუფიქსი ვნებითის ფორმათა მაწარმოებლები ქართულში? (ჯორბენაძე ბ., ზმნის ხმოვანპრეფიქსული წარმოება ქართულში, თბ. 1983, გვ. 148); ან: „მრავლისაგან მრავალ შემთხვევაში მოქმედებითი და ვნებითი გვარის ფორმათა ფუნქციური განაწილება სავსებით შეუძლებელი ხდება: მაღავს და იმალება, ალაპარაკებს და ელაპარაკება და სხვა მრავალი არ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც ერთმანეთის მიმართ აქტივისა და პასივის ფორმები“ (იქვე, გვ. 157), „ნათელია, რომ მაღავს და იმალება, ფაქტობრივ ორივე არის აქტიური მოქმედების გამომხატველი ფორმა, რომ აღარაფერი ვთქვათ ალაპარაკებს და ელაპარაკება და სხვა მისთანა ფორმებზე“ (იქვე, გვ. 158). „რა აერთიანებთ სემანტიკურად შემდეგ ფორმობრივ წყვილებს: ი-ჟანგება – ჟანგდება, ე-ცხადება – ცხადდება, ი-თვრება – თვრება“ – უეჭველია, რომ აერთიანებს ვნებითობის სემანტიკა, მაგრამ ვნებითობა, აქ, რა თქმა უნდა, არ შეიძლება გავიგოთ წმინდა პასივობად“ (იქვე, გვ. 151), ზღრ., „გაზეთები ერთ იმისთანა ამბავს იწერებიან, რომელსაც... ადამიანი გვერდს ვერ აუქცევს“. ბ. ჯორბენაძე „ვნებითის ყალიბს“ უწოდებს R-ებ-ი სტრუქტურის ყველა ზმნას, რომელთაც ახა-სიათებთ სემანტიკური ლაბილურობა, მნიშვნელობათა კონტექსტური ნაირსახეობა, როცა ერთსა და იმავე ფორმას შეუძლია გამოხატოს ვნებითიც, აქტიური მოქმედებაც და სტატუსიც (ნიშან-თვისებაც); მოვიყვანთ მისსავე მაგალითს: „მებრძოლი რაზმი მტრის ბანაკში იჭრება – აქტივი, მოქმედების სემანტიკა“. საინტერესოა, სილოვან ხუნდაძის პოზიცია, რომლის თანახმადაც, ვნებითის ყალიბით შეიძლება გამოიხატოს აქტიური მოქმედებაც, მაგ., „ჩემი ძმა იწერება“ იგივეა, რაც „ჩემი ძმა კარგ ამბავს გვწერს“ (ხუნდაძე სილ., ქართული გრამატიკა, სილოვ. ხუნდაძის მიერ შედგენილი, ქუთაისი, 1917, გვ. 57). საგულისხმოა, რომ ეს შენიშვნა ამოღებულია და აღარ გვხვდება სილოვან ხუნდაძის სახელმძღვანელოს 1920 წლის გამოცემაში. ქართული ენის გრამატიკის მესაძირკველები, ცხადია, ხედავენ არსებულ წინააღმდეგობას ზმნურ ფორმათა რეალურ შინაარსსა და მის გრამატიკულ კვალიფიკაციას შორის.

ზემოაღნიშნულ ნაშრომში ბ. ჯორბენაძე ტერმინ „ვნებითს“ განიხილავს „არა სემანტიკური ან სინტაქსური დანიშნულებით, არამედ, საკუთრივ, მორფოლოგიური თვალსაზრისით, როგორც გარკვეული

მორფოლოგიური ყალიბის აღმნიშვნელს (რა თქმა უნდა, აქ არავითარი მნიშვნელობა არა აქვს საკუთრივ აქტიურობა-პასიურობის სემანტიკას)“ (იქვე, გვ. 158,184). ჩვენი აზრით, პირობითი გამოყენება ტერმინისა, რომლის მნიშვნელობაც ცალსახადაა დადგენილი (ვნებითი = პასივის), დასაზუსტებელი და დასადგენია. აღნიშნულ მსჯელობას დ. მელიქიშვილი უპირისპირებს ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის რვატომეულის მასალაზე აპრობილებულ დიათეზათა მორფოსინტაქსურ თეორიას (მელიქიშვილი, 1978, 1979, 2001, 2010). წინამდებარე ნაშრომში საანალიზოდ აღებული ზმნური ფორმებიც მორფოსინტაქსური პრინციპითაა დაჯგუფებული და თითოეული მაგალითი სწორედ მეორე დიათეზის ქვესტრუქტურებს განეკუთვნება. დიათეზათა მორფოსინტაქსური კლასიფიკაციის ფარგლებში მეორე დიათეზაში ერთიანდება ვინის რიგის პირის ნიშნებით მარკირებული **ი-/ე-/ა-/Ø-R-ება/-ობა/-ევა** სტრუქტურისა და ნომინატიური კონსტრუქციის ზმნური ფორმები, რომელთა კლასიფიცირებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სულიერ, პერსონალურ მოქმედ პირს (აგენსს); კონსტანტინე გამსახურდიას **დიონისოს ღიმილიდან** ამოწერილი მაგალითებიც სწორედ ზემოაღნიშნული თეორიის მართებულობის დადასტურებაა: **შეიქარვება** („წაბლის ხეივნები შეიქარვება“), **უახლოვდება** („ზოგი მოურიდებლად უახლოვდება მას“), **გაეცინება** („ვის არ გაეცინება“) **ერიდება** („მინც ყველა ერიდება მასთან ახლო ყოფნას“), **დაეუფლება** („რალაც ჩუმი, უსიტყვო დარდი დაეუფლება ჩემ სულს“), **ეგუება** („განსაკუთრებით მისი ფიგურა არ ეგუება“), **მიტოკდება** („დაგეშილ მიმინოსავით მიტოკდება გული შუალამის ექსპრესის კივილზე“), **გვხვდება** („ყველგან გვხვდება ქალების მასსა და ილიმის...“), **ხელდება** („ბრაზობს, ენთება, ხელდება შენი მამაკაცური ჟინი“), **მიჰყვება** („ზაფხული მომკვდარა და ეს უშველებელი, ადამიანების ლანდების პროცესსია თავჩაქინდრული მიჰყვება უკან ამ საარაკო ყვენობას“), **მეაღერსება** („ისევ გაიღვიძა დედაკაცმა მასში. მეაღერსება. მკერდზე მეხუტება. თვალებზე ხელს მაფარებს. მკოცნის“).

ჩვენ მირ მოძიებული მასალის ეს მცირე ნაწილიც კი ცხადყოფს, რომ ტრადიციულად, ე.წ. „ვნებითი გვარის“, **R-ები ყალიბის** ფორმები (მათ შორის: -დ სუფიქსიანი, ი- პრეფიქსიანი, ე- პრეფიქსიანი, ა- პრეფიქსიანი და უნიშნო, ე.წ. „თბება ტიპის ვნებითები“), უმრავლეს შემთხვევაში, აქტიური ან თვითმოქმედი – ავტოაქტიური მოქმედების გამომხატველია.

The goal of this study is to examine the verb forms of the **R-eb-i** pattern used in the author's language in order to determine their degree of semantic activity or passivity. Investigating and observing the lexical fund of a writer's language allows us to trace the evolution of the Georgian language, capturing the internal, authentic pulse of verbal forms and their immanent nature, free from rigid grammatical regulations.

To obtain the material for analysis, we selected the verbal forms used in Konstantine Gamsakhurdia's *The Smile of Dionysus*. In the works of Gamsakhurdia, a highly distinguished figure among writers, the appearance of accidental lexical units is, naturally, impossible. Each of his carefully crafted sentences not only contains verbs used by characters in the process of natural communication but is also saturated with a deep love for his native language and Common Kartvelian culture. This is clearly reflected in his own words: **"I have introduced many archaic words into modern Georgian; in return, I have also enriched my vocabulary with words brought from the Khevsurian, Imeretian, Kartli-Kakhetian, and Megrel-Gurian dialects... I saw the need to launch a slogan for gathering the (distinct) vocabulary of Georgian tribes, and I first attempted this very task in The Smile of Dionysus and in my book of novellas... The growth of literary Georgian cannot rely solely on external borrowing—barbarisms. What is significant here is "internal borrowing", the acquisition of new and unused lexical data from Georgian dialects, and the Svan-Chan and Odishian dialects..."** (K. Gamsakhurdia, *Collected Works in Eight Volumes*, 1980, Vol. V, pp. 955-956).

In Georgian grammatical literature, the category of voice (*gvar*) has traditionally been treated as the primary classificatory unit of the Kartvelian verb. Its definition is predominantly confined to lexical-grammatical, syntactic-morphological, and morphological domains, and typically relies on the framework established by Akaki Shanidze, the systematizer of Georgian grammar. In the recently published monograph *Morphology of the Modern Georgian Language*, Chapter Four, titled "Voice – The Primary Classificatory Unit of the Georgian Verb," it is noted that "the opposition of voices (active vs. passive) in the Kartvelian languages forms a more or less well-established system" (*Morphology of the Modern Georgian Language*, edited by G. Gogolashvili, 2011, p. 420). Notably, however, this same work highlights a series of contradictions and problems that remain unresolved within the scope of this classification.

The problematic issues surrounding the classification of Georgian verbs were examined in depth by Besarion Jorbenadze, who questioned: "Are the passive

formants - the prefixes *i-* and *e-*, and the suffix *-d-* - actually markers of passive forms in Georgian?" (Jorbenadze B., *Vowel-Prefixal Verb Derivation in Georgian*, Tbilisi, 1983, p. 148). He further noted: "In numerous instances, the functional distribution between active and passive voice forms becomes entirely impossible: *malavs* [hides someone/something] and *imaleba* [hides oneself], *alaparakebs* [makes someone speak] and *elaparakeba* [speaks to someone], and many others, cannot be viewed as active and passive counterparts relative to one another" (ibid., p. 157). "It is clear that both *malavs* and *imaleba* are, in fact, forms expressing active action, to say nothing of forms like *alaparakjebes*, *elaparakjeba*, and the like" (ibid., p. 158). What semantically unites formal pairs such as "*i-zhangjeba* - *zhangdeba* [rusts], *e-tskhadeba* - *tskhaddeba* [appears/becomes clear], *i-tvreba* - *tvreba* [gets drunk]"? Jorbenadze argues: "Undoubtedly, they are united by the semantics of passivity, but passivity here, of course, cannot be understood as pure passiveness" (ibid., p. 151). Alternatively, consider the example: "*gazetebi ert imistan ambavs itserebian, romelsats... adamiani gverds ver auktsevs*" ["the newspapers are writing about an incident that... one cannot ignore"]. Jorbenadze applies the term "passive pattern" to all verbs with an **R-eb-i** structure characterized by semantic lability and contextual variations of meaning, where a single form can express the passive, an active action, or a status (a quality). To cite his own example: "*mebrdzoli razmi mtris banakshi ichreba*" ["the fighting detachment breaks into the enemy camp"] represents the active, displaying the semantics of action. Also of interest is the position of Silovan Khundadze, according to whom the passive pattern can express an active action, as seen in the example "*chemi dzma itsereba*", which means "my brother is writing good news to us" (Khundadze S., *Georgian Grammar*, compiled by Silov. Khundadze, Kutaisi, 1917, p. 57). It should be mentioned here, that this note was excluded and no longer appears in the 1920 edition of Khundadze's textbook. The founders of Georgian grammar clearly recognized the existing contradiction between the actual semantic content of verbal forms and their grammatical classification. In the aforementioned work, Jorbenadze treats the term "passive" "not in a semantic or syntactic sense, but strictly from a morphological standpoint, as a designation for a specific morphological pattern (where, of course, the semantics of activity-passivity proper carry no weight)" (ibid., pp. 158, 184). In our view, the conventional use of a term meaning of which is explicitly predetermined (i.e., passive = passivity) requires refinement and re-evaluation. D. Melikishvili counters this conventional discourse with a morphosyntactic theory of diathesis, tested on the material of the eight-volume *Explanatory Dictionary of the Georgian Language* (Melikishvili, 1978, 1979,

2001, 2010). The verbal forms sampled for analysis in the present paper are grouped precisely according to this morphosyntactic principle, and each example corresponds to the substructures of the second diathesis. Within the framework of the morphosyntactic classification of diatheses, the second diathesis unites the verbal forms of the **i-/e-/a-/Ø-R-eba/oba/eva** structure marked by agreement features of the series marked by vini set of prefixes and featuring a nominative construction. In classifying these forms, a decisive role is assigned to the animate, personal agent. The examples obtained from Konstantine Gamsakhurdia's *The Smile of Dionysus* corroborate the validity of the aforementioned theory: sheikarveba ("tsablis kheivnebi sheikarveba" / "the chestnut alleys are being ripen). uakhlovdeba ("zogi mourideblad uakhlovdeba mas" / "some approach him without hesitation") gaetsineba ("vis ar gaetsineba" / "who would not burst into laughter") erideba ("maints qvela erideba mastan akhlo qofnas" / "still, everyone avoids being close to him") daeupleba ("raghats chumi, usitqvo dardi daeupleba chem suls" / "some quiet, wordless sadness consumes my soul") egueba ("gansakutrebti misi figura ar egueba..." / "his figure, in particular, does not adapt...") mitokdeba ("dageshil miminosavit mitokdeba guli shuaghamis eqspretis kivilze" / "like a trained sparrowhawk, my heart „moves” on the shriek of the midnight express") gkhvdeba [gkhvdeba] ("qvelgan gkhvdeba [gkhvdeba] kalebis masa da ighimis..." / "everywhere a crowd of women meets us and smiles...") kheldeba ("brazobs, enteba, kheldeba sheni mamakatsuri zhini" / "your masculine passion grows angry, ignites, and runs wild") mihqveba ("zafkhuli momkdara da es ushvelebeli, adamianebis landebis protsesia tavchakindruli mihqveba ukan am saarako qeenobas" / "summer has died, and this colossal procession of human shadows follows dejectedly behind this legendary Qeenoba (improvised masqueraded folk theatre, carnival in Georgia)" mealarseba ("isev gaighvidza dedakatsma mashi. mealarseba. mkerdze mekhuteba. tvalebze kels mafarebs. mkotsnis" / "the woman in her awakened once more. She caresses me. She presses against my chest. She covers my eyes with her hand. She kisses me").

Even this small portion of the abovementioned material we have gathered demonstrates that, in the majority of cases, forms of the **R-eb-i** pattern - traditionally classified under the so-called "passive voice" (including those with the suffix *-d*, the prefixes *i-*, *e-*, *a-*, and the unmarked, so called *prefixless passives of the "tbeba" type*) - express active or self-initiated (auto-active) actions.

მაია ცერცვაძე

Maia Tsertsvadze

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
Georgian Technical University
ენერგეტიკის ფაკულტეტი
Faculty of Power Engineering

**ეპოქის ანარეკლი კონსტანტინე გამსახურდიას
პირად წერილებში**

**Reflection of the Epoch in the Personal Letters
of Konstantine Gamsakhurdia**

საკვანძო სიტყვები: კონსტანტინე გამსახურდია, პირადი წერილები,
კონსტანტინე გამსახურდიას პირადი წერილები, რებეკა ვაშაძე

Keywords: Konstantine Gamsakhurdia, personal letters, personal letters of
Konstantine Gamsakhurdia, Rebeka Vashadze

დიდი ხანი არ არის, რაც წიგნად პირველად გამოიცა ქართველი მწერლის, ფილოსოფოსისა და მთარგმნელის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის კონსტანტინე გამსახურდიას (1891-1975) „პირადი წერილები“ (გამომცემლობა „არტანუჯი“, შემდგენელი თიურა ვაშაძე-ბიბლური, 2015). იგი წარმოადგენს კრებულს მწერლის ბარათებისა, რომელთა მთავარი ადრესატია მისი პირველი მეუღლე და უფროსი ქალიშვილის, ნათელას დედა, პედაგოგი და პოლიტიკოსი რებეკა ვაშაძე (18?-1933). მწერალმა მასზე 1914 წელს იქორწინა.

წერილთა სტრიქონები მოწმობს წყვილის დიდ ურთიერთსიყვარულსა და თანამოაზრეობას, ასევე მოგვითხრობს იმ განსაცდელსა და სირთულეებზე (რეპრესიები, იძულებითი განშორება...), რაც მრავლად იყო მის ცხოვრებაში და რის გამოც მწერალი რებეკას პენელოპეს, საკუთარ თავს კი ოდისევსს უწოდებდა.

როგორც ცნობილია, 1911 წელს ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზიის დამთავრების შემდეგ კონსტანტინე გამსახურდია სწავლობდა პეტერბურგის, კენიგსბერგის, ლაიფციგის, მიუნხენის და ბერლინის უნივერსიტეტებში. 1919 წელს მან დაამთავრა ბერლინის უნივერსიტეტი და მოიპოვა ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი. მწერალი ამ პერიოდში გამოირჩეოდა აქტიური პოლიტიკური საქმიანობითაც („საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტეტთან“ თანამშრომლობა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ბერლინის საელჩოს ატაშედ მუშაობა, ევროპაში ტყვედქმნილი ქართველების თანადგომა და სამშობლოში დაბრუნება...).

კონსტანტინე გამსახურდიას წერილების დასახელებული კრებული უნიკალური გამოცემაა და ის საყურადღებო და მრავალპლასტიან ნონფიქშენს წარმოადგენს. იგი მეტად ღირებული პირველწყაროა როგორც ავტორის ბიოგრაფიისა და შემოქმედების ადრეული პერიოდის, ასევე იმ ისტორიული ეპოქის პოლიტიკური, საზოგადოებრივი და კულტურული პროცესების (პირველი მსოფლიო ომი, რევოლუციები რუსეთსა და გერმანიაში, საქართველოში პოლიტიკური პარტიების ჩამოყალიბება, ქვეყნის მისი დამოუკიდებლობის გამოცხადება, საბჭოთა რუსეთის ოკუპაცია...) გასაგებად და საკვლევად, რომლებშიც ისინი მიმდინარეობდა.

მწერლის ბარათები ასახავს ადრესანტის პირად დამოკიდებულებებს მისი თანამედროვე ადამიანებისა და მოვლენებისადმი, ემოციურ მდგომარეობას, ინტელექტუალურ ინტერესებს და სოციალურ კონტექსტს, რაც შეიძლება არ იკვეთებოდეს ოფიციალურ დოკუმენტებსა და გამოქვეყნებულ ნაშრომებში. საკმარისია მათი ფიგურანტების გვარებისთვის თვალის უბ-

რადგან გადავლებაც კი (ნ. ნიკოლაძე, გ. ლასხიშვილი, კ. აბაშიძე, ნ. ჟორდანიანი, ფ. მახარაძე, გ. ზდანოვიჩი, გ. მაჩაბელი, ს. ფირცხალავა, ა. კერენსკი, ჟ. ჟორესი, ა. ბებელი, გ. ჰაუპტმანი...), რომ თვალსაჩინო გახდეს წერილების განსაკუთრებული მნიშვნელობა. ვრცელია იქ მოთხრობილ ამბავთა და ეპიზოდთა გეოგრაფიაც – იგი საქართველოსა და რუსეთთან ერთად, ევროპის ქვეყნებსა და ქალაქებსაც მოიცავს.

მოხსენებაში აქცენტირებულად ვისაუბრებთ კონსტანტინე გამსახურდიას მრავალმნიშვნელოვანი პირადი წერილების იმ პლასტზე, რომელსაც მათში ეპოქის ანარეკლი შეიძლება ვუწოდოთ.

Not long ago, the *Personal Letters* of the Georgian writer, philosopher, and translator, Academician of the Georgian Academy of Sciences, Konstantine Gamsakhurdia (1891–1975) were published in book form for the first time (Artanuji Publishing, 2015; comp. Tiura Vashadze-Bibluri). The volume brings together letters mainly addressed to his first wife, the school teacher and politician Rebecca Vashadze (d. 1933), whom he married in 1914.

The letters reveal the couple's deep love and intellectual affinity, while also portraying the hardships they endured, including repression and forced separation. In this context, the writer metaphorically compares Rebecca to Penelope and himself to Odysseus.

After graduating from Kutaisi Noble Gymnasium (1911), Gamsakhurdia studied at the universities of St. Petersburg, Königsberg, Leipzig, Munich, and Berlin. He received his doctorate in philosophy from Berlin University in 1919. During this period, he was actively involved in political life too: cooperating with the Committee for the Liberation of Georgia, serving at the embassy of the Democratic Republic of Georgia in Berlin, assisting Georgian prisoners of war in returning home...

This collection is a unique and multi-layered work of non-fiction, offering a valuable primary source for both the writer's early biography/works and the broader historical context, including World War I, the revolutions in Russia and Germany, Georgia's independence, the Soviet occupation...

The letters reflect the author's personal attitudes, emotional state, intellectual interests, and social environment, often absent from official records. References to prominent figures (e.g., Nikoladze, Zhordania, Makharadze, Kerensky, Jaurès, Bebel, Machabeli...) and a wide geographical scope further enhance their significance.

The conference paper will focus on the dimension of these letters as a reflection of their historical epoch.

ზოია ცხადაია

Zoia Tskhadaia

თსუ შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
TSU Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

**ბოლშევიკური ტოტალიტარიზმის ფარული შრეები
კონსტანტინე გამსახურდიას რომან
„დიდოსტატის მარჯვენაში“**

**Hidden Layers of Bolshevik Totalitarianism
in Konstantine Gamsakhurdia's Novel
*The Right Hand of the Great Master***

საკვანძო სიტყვები: ტირანია, ისტორიული წარსული, თანამედროვეობა,
ინსპირაცია, ფარული შრეები

Keywords: tyranny, historical past, modernity, inspiration, hidden layers

კონსტანტინე გამსახურდიას რომანი „დიდოსტატის მარჯვენა“ 30-იანი წლების მიწურულს დაიწერა და გამოქვეყნდა 1939 წელს. ეს იყო უმძიმესი დრო, ტოტალიტარული რეჟიმის რეპრესიული პოლიტიკის გამტარებელი. 1937 წლის იანვარში საქართველოს მწერალთა კავშირში ჩამოყალიბდა პარტორგანიზაცია, როგორც მწერლობაზე იდეური კონტროლის სტრატეგი. აქ განიხილებოდა ლავრენტი ბერიას კომპარტიის მე-10 ყრილობაზე წარმოთქმული (კრემლიდან დაპროგრამებული) სიტყვები, რომ დაუნდობელი ბრძოლა გამოეცხადებინათ „ხელოვნების ნიღაბს“ ამოფარებულ ხალხის მტრებისათვის და საგანგებო კრიტიკის ობიექტები ხდებიან კონსტანტინე გამსახურდია (მას ნაციონალიზმსა და ფაშიზმში სდებენ ბრალს), პაოლო იაშვილი, ტიცვიან ტაბიძე, ნიკოლო მიწიშვილი, მიხეილ ჯავახიშვილი, გიორგი ლეონიძე და სხვ. 1937 წლის ივლისში გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ (ნ.16) იბეჭდება წერილი პირველ დახვრეტილებზე, რომ „ხალხის მტრებს“ დამსახურებული სასჯელი მიეზღოთ (მალაქია ტოროშელიძე, გიორგი ყურულაშვილი, ნიკოლო მიწიშვილი)... 22 ივლისს თავს იკლავს პაოლო იაშვილი, რასაც პროვოკაციად აცხადებს პარტორგანიზაციის მდივანი დავით დემეტრაძე (წლის ბოლოს თავად დემეტრაძესაც იჭერენ და დახვრეტენ), აგვისტოში აპატიმრებენ მიხეილ ჯავახიშვილს და 30 სექტემბერს სიკვდილით დასჯიან. სექტემბრის ბოლოს აპატიმრებენ ტიცვიან ტაბიძეს და წლის ბოლოს დახვრეტენ და ა.შ.

ბესარიონ ჟღენტი, რომელსაც მკაცრად დაევალა „გამანადგურებელი წერილი“ მიხეილ ჯავახიშვილზე (შეასრულა კიდევაც), ამჯერად სტატიაში „კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებითი გზა“, სასტიკად აკრიტიკებს მას და შეახსენებს ლავრენტი ბერიას გაფრთხილებას ბურჟუაზიულ-თავადიშვილური ნაციონალური იდეებისაგან გათავისუფლების შესახებ. ამ ჯოჯოხეთურ ატმოსფეროშია ჩაფიქრებული და შექმნილი „დიდოსტატის მარჯვენა“. ავტორმა თანამედროვე სახელმწიფოებრივი სისტემის ტირანული სისასტიკე წარსულში გადაამისამართა. არსაკიძეს, როგორც სვეტიცხოვლის ცუდად ამგებელს, მეფის ბრძანებით, მარჯვენას სჭრიან. მეფემ ასევე უსაფუძვლოდ, პირადი, სუბიექტური მიზეზით სასიკვდილოდ გაწირა გირშელი, ჯვრით მოაწამვლინა მოღალატე ფეოდალი ჭიაბერი. სარწმუნოა, რომ მწერალს თანამედროვეობამ მისცა ინსპირაცია ამისათვის. მრავალ ცოდვასთან ერთად, მე-20 საუკუნის საქართველოს ცოდვიანი ისტორიაც აჰკიდა მან თავის გამორჩეულ გმირს, მეფეს.

რომანის ეპილოგში მწერალი გვეუბნება, რომ სვეტიცხოვლის ეზოში მდებარე ქვის ლოდი, არსაკიძის გაქვავებულ დედად რომ აღიქვამდა სა-

ზოგადოება, მშენებლობაზე წაუღიათ და „მშენებლობის გენიას“ შეერთებია. დღევანდელი გადასახედიდან, ეს ირონიაა მწერლის მხრიდან. ზოგადად, იგი ხშირად ახსენებს „შრომის აპოლოგიას“, რომელიც იყო ამ რომანის არსებითი ხიბლი დიქტატორი ხელისუფლებისათვის. მწერლის მიერ შერჩეული არქაული სტილიც უთუოდ იმ მიზანს ემსახურება, რომ ისტორიული წარსულისაკენ გადაიტანოს ცენზურის ყურადღება. ვფიქრობთ, რომ ეს ყოველივე სრულიად გაცნობიერებულად გააკეთა მწერალმა მომავლის მკითხველისათვის ბოლშევიკური ტოტალიტარიზმის ფარული შრეების ამოსაცნობად „დიდოსტატის მარჯვენაში“.

Konstantine Gamsakhurdia's novel *The Right Hand of the Great Master* written in the late 1930s and published in 1939, emerged during a period marked by intense political repression under a totalitarian regime. In January 1937, a party organization was established within the Union of Georgian Writers, functioning as an instrument for enforcing strict ideological control in literature. This development coincided with directives articulated by Lavrenti Beria at the Tenth Congress of the Communist Party of Georgia, where he called for an uncompromising struggle against so-called “enemies of the people” allegedly concealed beneath the “mask of art”.

Within this repressive framework, numerous prominent Georgian writers and intellectuals – including Konstantine Gamsakhurdia, who was accused of nationalism and fascism, as well as Paolo Iashvili, Titsian Tabidze, Nikolo Mitsishvili, Mikheil Javakhishvili, and Giorgi Leonidze – were subjected to severe criticism and persecution. In July 1937, the newspaper *Literaturuli Sakartvelo* (No. 16) published a letter demanding the punishment of individuals labeled as “enemies of the people”, including Malaki Toroshelidze, Giorgi Kurulashvili, and Nikolo Mitsishvili. The escalation of repression soon led to tragic outcomes: Paolo Iashvili committed suicide – an act declared a provocation by the secretary of the party organization Davit Demetradze (Demetradze himself was also arrested and executed). Mikheil Javakhishvili was arrested in August and executed on September 30; Titsian Tabidze was arrested in late September and executed later that year. These events reflect the atmosphere of fear, censorship, and violence in which Gamsakhurdia's novel was written.

Besarion Zhgenti, who was forced to write a “destructive letter” condemning Mikheil Javakhishvili (a task he ultimately carried out), later harshly criticized

Gamsakhurdia in his article “Konstantine Gamsakhurdia’s Creative Path”. In this letter, he reminds Lavrenti Beria’s call to eliminate so-called bourgeois-nationalist tendencies in literature. It was within this oppressive environment that Gamsakhurdia wrote *The Right Hand of the Great Master*. The author seems to redirect the tyrannical cruelty of the modern state system to the distant past.

In the novel, the architect of Svetitskhoveli, Arsakidze has his right hand cut off by king’s order as a punishment for being a poor builder. The king also, for subjective reasons, sends Girshel to his death, and orders the poisoning of the traitorous feudal Chiaberi. It is likely that the writer drew inspiration from his contemporaneity. Along with numerous faults, he also places the blame for Georgia’s troubled history in the 20th century on his central character – the king.

In the epilogue of the novel, the writer recounts that the stone boulder in the Svetitskhoveli courtyard, which the public perceived as Arsakidze’s petrified mother, was taken for construction and attached to the “genius of construction”. From today’s perspective, this is ironic on the author’s part. In general, he frequently refers to the “apology of labor”, which was taken as one of the novel’s key appeals for the authoritarian regime. The archaic style chosen by the writer clearly serves to redirect the censors’ attention toward the historical past. We believe the writer did this quite deliberately, aiming to reveal to future readers the hidden layers of Bolshevik totalitarianism in *The Right Hand of the Great Master*.

ლია წერეთელი

Lia Tsereteli

თსუ შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
TSU Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

სახისმეტყველური ასპექტები კონსტანტინე
გამსახურდიას შემოქმედებაში

Aspects of Imagery in the Works of Konstantine
Gamsakhurdia

საკვანძო სიტყვები: ანბანი, მშენიერება, ჯვარი, „ანბანთქება“
„დავით აღმაშენებელში“.

Keywords: alpabet, beauty, The Cross, “Anbantkeba” (Praise of the Alphabet) in
“David the Builder”

კონსტანტინე გამსახურდია რომანში „დავით აღმაშენებელი“ დავით მეფის მონუმენტური პიროვნების სრულქმნას ყრმობისდროინდელი ხატოვანი აღქმით იწყებს. მწერლის კონცეფციით, ბავშვობა სამყაროს შემეცნების პირველწყაროა. გამზრდელი მახარაი ყრმა დავითს აზიარებს ქართული ანბანის გამომსახველობას, ასტროლოგიურ ცოდნას, ბუნების სურათების მიღმა სულიერი არსის წვდომას. მწერალი ანბანთქების, ხილთაქებისა და თვეთა ქების შთამბეჭდავ, პოეტურ ხატებას ქმნის. იგი ეფუძნება ანბანთქებისა და ქართული კალენდრის გამომსახველობის მრავალსაუკუნოვან ტრადიციას, რომელიც სამეფო კარზე არსებობდა და აღმზრდელიობითი ფუნქცია ჰქონდა.

შორენა – მშვენიერება და ტრაგიზმი („დიდოსტატის მარჯვენა“). ღვთაებრივისა და მშვენიერის განცდა სახისმეტყველურად არის წარმოდგენილი კ. გამსახურდიას რომანში „დიდოსტატის მარჯვენა“. შორენა მწერალს დახატული ჰყავს ფრესკული მშვენიერებისა და მითიური ქალის, მედეასეული ძლიერების თანხვედრით. ყინწვისის ანგელოსი შორენას ფრესკული სილამაზის გამომსახველია, ხოლო მისი მებრძოლი და შურისმაძიებელი ხასიათი ცხენოსნობასა და ხევისბერებთან აჯანყებაში ცხადდება. შორენას ქარაფიდან გაფრენა მშვენიერების ღვთაებრივობით იხატება, ის უფსკრულისაკენ კი არ ეშვება, არამედ ანგელოზის ფრთებით მიფრინავს. მწერლის ხატსახოვნება მშვენიერების ტრაგიკულობას წარმოაჩენს.

ნიცშეანური მეტაფორა - მოწამლული ჯვარი („დიდოსტატის მარჯვენა“). მოწამლული ჯვარი რომანში „დიდოსტატის მარჯვენა“ უმთავრესი სიმბოლური ხატსახოვნებაა. მოწამლული ძელიცხოველი კათალიკოსის ხელში იარაღად იქცა და სასწაულის ძალით გამოცხადდა. მოწამლული ჯვარი რომანში იგავური თხრობის ნიცშეანური მეტაფორაა. მწერალმა ცხადქმნა სარწმუნოებრივი შხამის მომაკვდინებელი ძალა, რომელიც ყველა დროში ქმედითია. მტერი იარაღით ცხადად კი არ მოდის გასანადგურებლად, არამედ მოწამლულული ჯვრითა და სასწაულით ანადგურებს. ცნობილია მწვალებლობის სამხილებლად დადგენილი მეტაფორები: „ძმარი და საფუარი“, რომელიც მომწამვლელად მოქმედებს და ანადგურებს, ასევე „მწვალებლობის და ურწმუნოების გესლი“.

კ. გამსახურდიამ რომანში თავად შექმნა ამგვარი სახისმეტყველება, რაც, სამწუხაროდ, ათეული წლების განმავლობაში მწერლის ნაკლად მიიჩნეოდა, რაკილა სიმბოლური და იგავური შინაარსის გაუთვალისწინებლად, ბუკვალურად იყო აღქმული. ვფიქრობთ, ეს სახისმეტყველება მაღალი საღვთისმეტყველო და იგავური აზროვნების ნიმუშია. კ. გამსახურდიას

მსგავსად, ნ. კაზანდაკისის შემოქმედებაში ნიცშეანური საზრისი და ღვთისმებროლობა ბერძენმა მეცნიერებმა ღვთისმეტყველებაში ცნობილი კატაფატიკა-აპოფატიკის სარწმუნოებრივი არსით გაიაზრეს. ამგვარადვე უნდა გავიაზროთ კ. გამსახურდიას იგავური თხრობისა და სახისმეტყველების საზრისი.

In the novel *David the Builder*, Konstantine Gamsakhurdia begins the formation of King David's monumental persona through the vivid perceptions of his youth. According to the author's concept, childhood is the primary source for perceiving the world. The educator, Makharai, initiates the young David into the expressiveness of the Georgian alphabet, astrological knowledge, and the perception of the spiritual essence lying behind images of nature. The author creates impressive, poetic imagery of Anbantkeba (Praise of the Alphabet), Khiltakeba (Praise of the Fruits), and Tvetakeba (Praise of the Months). This imagery is rooted in the centuries-old tradition of alphabet praise and the Georgian calendar that existed at the Royal Court, serving an educational function.

Shorena: Beauty and Tragedy in *The Right Hand of the Grand Master*. The experience of the divine and the beautiful is presented through symbolic imagery in Gamsakhurdia's novel *The Right Hand of the Grand Master*. The writer portrays Shorena through a convergence of fresco-like beauty and the mythic strength of a Medea-like woman. The Angel of Kintsvisi serves as an expression of Shorena's fresco-like beauty, while her militant and vengeful character is revealed through her horsemanship and her rebellion alongside the highlanders (Khevisberis). Shorena's flight from the cliff is depicted with divine beauty; she does not simply plummet into the abyss but 'flies' with the wings of an angel. The author's imagery thus illuminates the inherent tragedy of beauty.

Nietzschean Metaphor: The Poisoned Cross in the novel, the 'Poisoned Cross' stands as a central symbolic image. The poisoned Dzelitskhoveli (Life-giving Wood/Cross) in the hands of the Catholicos is transformed into a weapon, manifesting through the power of a 'miracle'. Within the novel, this serves as a Nietzschean metaphor of parabolic narrative. The writer reveals the lethal power of religious 'venom', which remains active across all eras. The enemy does not always come to destroy openly with weapons; instead, they annihilate through a poisoned cross and false miracles. Known metaphors used to expose heresy include 'vinegar and leaven', which act as poisons, as well as the 'venom of heresy and unbelief'.

Gamsakhurdia created this specific type of symbolic imagery within the novel, which was unfortunately considered a flaw of the writer for decades because it was perceived literally, without regard for its symbolic and parabolic meaning. We believe this imagery is a specimen of high theological and parabolic thinking and a distinct Nietzschean metaphor. Similar to Gamsakhurdia, the Nietzschean sense and 'theomachy' (struggle against God) in the works of Nikos Kazantzakis were interpreted by Greek scholars through the religious essence of Cataphatic-Apophatic theology. It is likely in this same manner that we should understand the meaning of Gamsakhurdia's parabolic narrative and symbolic imagery.

ბელა წიფურია

Bela Tsipuria

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

Iliia State University

მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი

Faculty of Arts and Sciences

**ქართველთა ავტოხატი და იდენტობა კონსტანტინე
გამსახურდიას რომანში „დიონისოს ღიმილი“**

**Georgians' Auto-Image and Identity in Konstantine
Gamsakhurdia's Novel "The Smile of Dionysus"**

საკვანძო სიტყვები: ქართველთა ეთნოტიპი, ავტოხატი და ჰეტეროხატი,
ნაციონალური იდენტობა, მოდერნისტული რომანი

Keywords: ethnotype, auto-image, hetero-image of Georgians, national identity,
modernist novel

კონსტანტინე გამსახურდიას მოდერნისტული რომანი „დიონისოს ღიმილი“ (1924) დიალოგურ კავშირშია, ერთი მხრივ, ევროპული მოდერნიზმის მსოფლმხედველობრივ და ესთეტიკურ ძიებებთან, მეორე მხრივ კი, საქართველოში მეოცე საუკუნის პირველ ათწლეულებში მიმდინარე ნაციონალური თვითიდენტიფიკაციის პროცესთან.

თუკი მე-19 საუკუნეში ქართველთა კოლექტიური თვითაღქმის განსაზღვრა და თანამედროვე იდენტობის ფორმირება უწინარესად ქართული ლიტერატურის სივრცეში დასახული ამოცანა იყო, მეოცე საუკუნის 1910-იან წლებში ეს პოლიტიკური დებატების ერთ-ერთი ძირითადი საკითხი ხდება. თუმცა ქართული ლიტერატურა ამ პრობლემის რეფლექსიაზე უარს არ ამბობს და ქართველი მოდერნისტები ევროპული მოდერნიზმის კონტექსტში ქართული კულტურის „გამართვას“ არა მხოლოდ კულტურულ-ესთეტიკურ, არამედ ნაციონალურ ამოცანებს უკავშირებენ. კითხვები საქართველოს ევროპული თუ აზიური მიკუთვნებულობის თაობაზე მოდერნისტთა ესეებში თუ პოეტურ ტექსტებში 1916 წლიდანვე ჩნდება. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წლებში კი ევროპული ორიენტაცია და ერთა ევროპულ ერთობაში ჩართვა როგორც პოლიტიკური, ისე კულტურული თვალსაზრისით შეუქცევად ამოცანად ისახება.

თუმცა გამსახურდიას რომანში ქართველთა ნაციონალური თვითაღქმის თემაზე დიალოგი მიმდინარეობს ცვალებადი პოლიტიკური მოვლენების გათვალისწინებით. რომანის პირველი მონახაზებიდან მის პუბლიკაციამდე რადიკალურად და ძალისმიერად, რუსული ანექსიის გზით, იცვლება საქართველოს სახელმწიფოებრივი სტატუსი, შესაბამისად, იცვლება როგორც ქართველთა თვითიდენტიფიკაციის მოდელი, ისე ევროპასთან კავშირის პერსპექტივა; იცვლება ევროპულ მოდერნიზმთან ქართული კულტურის მიმართებაც. რომანში მოქმედების განვითარების პერიოდად თავად ავტორი ასახელებს 1914-1919 წლებს. შესაბამისად, რუსულ-ბოლშევიკური ანექსია და გასაბჭოება არ არის მხატვრული ასახვის საგანი, თუმცა რომანის მკვეთრი ანტირუსული განწყობა მკითხველებისა და მკვლევრების მიერ შენიშნულია.

რამდენად ასახავს „დიონისოს ღიმილი“ იდენტობის ძიებას ან ამ ძიების შედეგს? რამდენად აისახება ავტორის პოზიციაზე საქართველოს ანექსიისა და გასაბჭოების შედეგები? ახდენს თუ არა ავტორი ქართველისა და რუსის სახეთა გამოსახვას გარკვეული პოლიტიკური ან პატრიოტული გზავნილების გადმოსაცემად? მოხსენებაში ქართველთა იდენტობის ფორმირების საკითხი ე. დ. სმითის ნაციონალური იდენტობის თეორიის მიხედვით

არის განხილული. ქართველის, რუსის, ევროპელისა და აზიელის ეთნოტიპების რეპრეზენტაციის ფორმები კი ი. ლიირსენის იმაგოლოგიისა და ეთნიკურობის თეორიული კონცეპტების - ავტო- და ჰეტეროხატიების მიხედვით არის გააზრებული.

წინასწარვე შეიძლება ითქვას, რომ რომანში კონსტანტინე სავარსამიდის მიერ წარმოდგენილი ქართველის ავტოხატი ამკარად პოზიტიური და, ხშირად, ნოსტალგიურია. ასევე პოზიტიურია იმ პერსონაჟების მიერ დანახული ქართველის ჰეტეროხატი, რომელთა მიმართაც რომანის მთავარი გმირი დადებითად არის განწყობილი. თუმცა სავარსამიდის მიერ დანახული რუსის ჰეტეროხატი, ისევე როგორც რუსების მიერ ჩადენილი ქმედებების შეფასებები, როგორც წესი, ნეგატიურია.

Konstantine Gamsakhurdia's modernist novel "The Smile of Dionysus" (1924) is in dialogical connection, on the one hand, with the worldview and aesthetic searches of European modernism, and, on the other hand, with the process of national self-identification in Georgia in the first decades of the twentieth century.

If, in the 19th century, the determination of the collective self-perception of Georgians and the formation of a modern identity were primarily tasks set within the space of Georgian literature, then in the 1910s this had already become one of the main issues of political debate. However, Georgian literature did not abandon reflection on this problem, and Georgian modernists saw their goal of 'rectifying' Georgian culture, aligning it with European modernism, not only in cultural-aesthetic terms but also in national terms. Questions about Georgia's European or Asian belonging have been raised in modernist essays and poetic texts since 1916. During the years of the Democratic Republic of Georgia, European orientation and Georgia's inclusion in the European family of nations were seen as irreversible from both political and cultural perspectives.

However, in Gamsakhurdia's novel, the dialogue on Georgian national self-perception unfolds against the backdrop of shifting political events. From the first drafts of the novel to its publication, Georgia's state status is radically and forcibly changed by Russian annexation, and, accordingly, both the model of Georgian self-identification and the perspective on connection with Europe are changing; the relationship of Georgian culture to European modernism is also changing. The author indicates 1914-1919 as the novel's timeline. Accordingly, the Russian-

Bolshevik annexation and Sovietization are not the subject of artistic reflection, although the novel's sharp anti-Russian sentiment has been noted by readers and researchers.

To what extent does "The Smile of Dionysus" reflect the search for identity? To what extent are the dramatic results of the annexation and Sovietization of Georgia reflected in the authorial position? Does the author depict the images of Georgians and Russians in order to convey certain political or patriotic messages? The paper discusses the shaping of Georgian identity in the novel in light of E. D. Smith's theory of national identity. The forms of representation of Georgian, Russian, European and Asian ethnotypes are understood according to I. Leersen's imagology and theoretical concepts of ethnicity – auto- and hetero-images.

It can be said that the auto-image of the Georgian presented by Konstantine Savarsamidze in the novel is clearly positive and, often, nostalgic. The hetero-image of the Georgian seen by those characters towards whom the main character of the novel is positively disposed is also positive. However, Savarsamidze's assessment of Russian hetero-image, as well as the actions committed by Russians, is usually negative.

ლელა წიფურია

Lela Tsiphuria

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Ivane Javakishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

The Faculty of Humanities

კულტურათა დიალოგი საფესტივალო პროგრამაში

Dialogue of Cultures in the Festival Program

საკვანძო სიტყვები: ფესტივალი, მეგური, თანამედროვე, მთავარი

Keywords: The Festival, Meguri, contemporary, major

მიხეილ თუმანიშვილის სახელობის ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი „საჩუქარი“ ქეთი დოლიძის მიერ იმთავითვე კულტურათა დიალოგისთვის იყო დაარსებული. 1997 წელს, როდესაც პირველი ფესტივალი შედგა საქართველოში ჯერ კიდევ „ბნელი ოთხმოცდაათიანების“ პერიოდი იდგა და სპექტაკლზეც კი არ იყო იშვიათი ელექტროენერგიის გათიშვა. იმ ვითარებაში ისეთი მასშტაბური საერთაშორისო ფესტივალი, რომლის დამაარსებელთა შორის ისეთი მსოფლიო მასშტაბის ხელოვნები იყვნენ, როგორებიც პიტერ ბტუკი, ვანესა რედგრეივი და ა.შ. არიან, ნამდვილად უმნიშვნელოვანესი მოვლენა გახლდათ. მიხეილ თუმანიშვილის სახელობის ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი გახდა სწორედ ცივილიზებული სამყაროს კულტურული ცხოვრებისკენ დაბრუნების ნაბიჯი, რომელმაც საქართველოს უმძაფრესი კრიზისის ჩინურ კედლად ქცევას შეუშალა ხელი და კულტურათა დიალოგის გზით ჩვენი ხელოვნება, უპირველეს ყოვლისა კი, ჩვენი თეატრი დააბრუნა მსოფლიო სახელოვნო ორბიტაზე. „საჩუქრის“ დამსახურება ნამდვილად არის ის გარემოება, რომ ქართველი მაყურებელი 1997 წლიდან მოყოლებული ყოველწლიურად ეცნობა მსოფლიოს უახლეს სათეატრო პროცესებს და თავადაც არის ამ პროცესების მონაწილე, რომლის სპექტაკლებსაც უკვე „საჩუქრის“ პროგრამიდან იწვევენ სხვა ქვეყნები და ცნობილი ფესტივალები.

მოხსენების მიზანია, 2025 წლის საფესტივალო პროგრამის, როგორც კულტურათა დიალოგის, წარდგენა და შეფასება. ამ ასპექტში განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მესახება ქართულ-იტალიური პროექტი – დოკუმენტური თეატრის სახელოსნო-Kepler-452 – ნიკოლა ბორგეზისა და ენრიკო ბარალდის ხელმძღვანელობით. ასეთი თეატრი საქართველოსთვის ნამდვილად სიახლეა.

„ილაპარაკოს, რა მნიშვნელობა აქვს“... თუმანიშვილის კინომსახიობთა თეატრი, არგენტინის თეატრალური ფესტივალი FIT MERCOSUR, საშემსრულებლო კვლევითი ხელოვნების ცენტრი LA PARISINA და მიხეილ თუმანიშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი "საჩუქარი". მსოფლიო პრემიერა შედგა არგენტინაში ფესტივალის FIT MERCOSUR ფარგლებში. წარმოდგენა ოთხმოცდაათიანი თბილისის სამოქალაქო ომზე მოგვითხრობდა და, სამწუხაროდ, ძალიან ახლოს იდგა თანამედროვე პრობლემებთან.

იტალიის ბიენალე გამარჯვებული პროექტი „მარო“ საქართველოს ეროვნულ გმირს, მარო მაყაშვილს, მიეძღვნა.

ფესტივალის პომპეზური წარმოდგენით გაიხსნა – იაპონური ცეკვის თეატრის სპექტაკლით „მეგური“.

ესპანეთის სან-სებასტიანის თეატრმა „კალუნკა“ სახელგანთქმული დადგმა, უაღრესად ემოციური ნიღბების სპექტაკლი „ანდრე და დორინი“ წარმოადგინა.

2025 წლის ფესტივალის ფოკუსში იტალია იყო. რავენას თეატრ დელა ალბას მისი დამაარსებლები, ცნობილი წყვილი, მარკო მარტინელი და მისი მეუღლე, ერმანა მონტანარი წარმოადგენდნენ. მათი საფესტივალო პროგრამა სამი ნაწილისგან შედგებოდა – „პოეტთა განსაწმენდელი“ – სამდღიანი ვორკშოპი, მარკო მარტინელის საავტორო ფილმი “Er” და სპექტაკლი „დედა“.

მოხსნება კულტურათა დიალოგის უახლესი პროცესების ანალიზს ისახავს მიზნად.

The Mikheil Tumanishvili International Festival of Arts “Gift”, founded by Ketil Dolidze, was established as a platform for intercultural dialogue. Its first edition in 1997 took place during Georgia’s difficult “dark nineties”, when even theatre performances were disrupted by power outages. Despite these conditions, the festival – supported by internationally renowned artists such as Peter Brook and Vanessa Redgrave – became a major cultural event.

The festival played a crucial role in reconnecting Georgia with global cultural life, preventing isolation and reintegrating Georgian theatre into the international artistic sphere. Since 1997, Georgian audiences have been introduced annually to contemporary global theatre, while local productions have gained international recognition and invitations to major festivals.

This paper examines the 2025 festival program as a form of cultural dialogue. A key highlight was the Georgian-Italian documentary theatre workshop Kepler-452, led by Nicola Borghesi and Enrico Baraldi, representing a new theatrical approach for Georgia.

The production “Let Them Talk, What Does It Matter...” – a collaboration between Georgian and international partners – premiered at Argentina’s FIT MERCOSUR festival and depicted the 1990s Tbilisi civil war, echoing current global issues. Another notable work, “Maro”, from the Italian Biennale College, was dedicated to Georgian national hero Maro Makashvili.

The festival opened with the Japanese dance theatre performance “Meguri”, while Spain’s Kulunka Theatre presented the acclaimed mask production “Andre and Dorine”.

Italy was the central focus of the 2025 program. Teatro delle Albe, represented by Marco Martinelli and Ermanna Montanari, presented a three-part program including a workshop, a film (*Er*), and the performance “Mother”.

The study aims to analyze contemporary processes of intercultural dialogue reflected in the festival.

თამარი თამარელა წოწორია

Tamari Tamarela Tsotsoria

დამოუკიდებელი მკვლევარი

Independent Researcher

კონსტანტინე გამსახურდიას „მარია სტელლა“ –
ერთი ლექსის ანალიზი

Konstantine Gamsakhurdia's "Maria Stella" –
Analysis of One Poem

საკვანძო სიტყვები: მარია სტელლა, ექსპრესიონიზმი, ლექსმცოდნეობა,
საგალობელი, ღვთისმშობელი

Keywords: Maria Stella, Expressionism, poetics, hymns, Mother of God

წინამდებარე ნაშრომში განხილულია კონსტანტინე გამსახურდიას ლექსი „მარია სტელა“ ლექსმცოდნეობითი პერსპექტივიდან, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ფორმისა და შინაარსის ურთიერთმიმართებას. ლექსი, რომელიც ავტორის ევროპაში ყოფნის პერიოდში შეიქმნა, გაჯერებულია ექსპრესიონისტული მსოფლგანცდით. მისი ცენტრალური სიმბოლო – „მარია სტელა“ (ლათ. „ზღვის ვარსკვლავი“) - კათოლიკურ ტრადიციაში ღვთისმშობლის ეპითეტია და ამგვარად წამოსწევს რელიგიური მისტიციზმისა და სულიერი ჰარმონიის ძიების თემატიკას.

კვლევა ასევე განიხილავს ინტერტექსტუალურ კავშირს VIII საუკუნის საგალობელთან Ave Maris Stella, რომელიც შვიდსტროფიანი მწუხრის ლოცვაა და ღვთისმშობლის მფარველობას ევედრება, ამავდროულად მას ვარსკვლავად წარმოაჩენს, რომელიც მოგზაურს ნავსაყუდელისკენ მიუძღვის. საგალობელსა და გამსახურდიას ლექსს შორის სემანტიკური და სიმბოლური პარალელები ამძაფრებს უკანასკნელის სულიერ და ემოციურ რეზონანსს.

ანალიზის მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს ლექსში ასახული ევროპული კულტურული კონტექსტი - კერძოდ, რომის სივრცე: ტიბროსი, კაპიტოლიუმი, სან-პიეტროს ზარები და ავგუსტუსის თაღი. ეს ელემენტები ქმნის სიმბოლურ ლანდშაფტს, რომელიც მარადიული კულტურისა და ისტორიის განსახიერებაა და რომლის ფარგლებშიც ლირიკული სუბიექტი საკუთარ ეგზისტენციურ ორიენტირს ეძებს. ურბანული და არქიტექტურული გარემო შინაგანი, ექსპრესიონისტული დრამის ფონად გვევლინება.

სან-პიეტროს ზარების ჟღერადობა ლექსში სულიერი გარდატეხისა და მეტაფიზიკური „გამოღვიძების“ სიმბოლოდ იკითხება, რომელიც მიწიერსა და ზეციურს შორის კავშირს ამყარებს. ლექსის ექსპრესიულობას ამძაფრებს მკვეთრი კონტრასტები, მათ შორის ცივი, მოვერცხლილი მთვარისა და ქრისტეს ჯვრიდან გამომავალი თბილი, მაცხოვრებელი ნათლის შეპირისპირება.

სტრუქტურულად, ლექსი 27 სტრიქონისგან შედგება, დაწერილია თოთხმეტმარცვლიანი საზომით და გაწყობილია ჯვარედინი რითმით, რაც ინარჩუნებს შინაგან მუსიკალობას (ალიტერაცია, ასონანსი). მეტაფორებით, სიმბოლოებითა და ინტონაციური მრავალფეროვნებით გამორჩეული ტექსტი წარმოაჩენს კონსტანტინე გამსახურდიას მხატვრულ ოსტატობას. ნაშრომში ნაჩვენებია, თუ როგორ ერთიანდება პოეტური ფორმა და სიმბოლური სახეები სულიერი ძიების, გაუცხოებისა და რწმენასა და ხელოვნებაში მათი გადალახვის თემების გამოსახატავად.

This paper examines Konstantine Gamsakhurdia's poem "Maria Stella" from a literary-critical (poetics-oriented) perspective, focusing on the interplay between form and content. The poem, created during the author's stay in Europe, is deeply infused with an expressionist worldview. Its central symbol, "Maria Stella" (Latin for "Star of the Sea"), functions as an epithet of the Virgin Mary within the Catholic tradition, thus foregrounding themes of religious mysticism and the pursuit of spiritual harmony.

The study also considers the intertextual connection with the 8th-century hymn *Ave Maris Stella*, a seven-stanza evening prayer that invokes the Virgin's protection and metaphorically presents her as a guiding star leading the travelers to safe harbor. The semantic and symbolic parallels between the hymn and Gamsakhurdia's poem reinforce the latter's spiritual and emotional resonance.

A key aspect of the analysis is the European cultural context embedded in the poem - specifically, the imagery of Rome, including the Tiber, the Capitoline Hill, the bells of San Pietro, and the Arch of Augustus. These elements create a symbolic landscape representing eternal culture and history, within which, the lyrical subject seeks existential orientation. The urban and architectural setting serves as a backdrop for an inner, expressionist drama.

The sound of San Pietro's bells emerges as a symbol of spiritual transformation and metaphysical awakening, linking the earthly and the divine. The poem's expressive power is heightened by sharp contrasts, such as the juxtaposition of a cold, silvery moon with the warm, redemptive light emanating from Christ's cross.

Structurally, the poem consists of 27 lines, composed in a fourteen-syllable meter with a cross-rhyme scheme, maintaining a strong internal musicality through alliteration and assonance. Rich in metaphors, symbols, and tonal variation, the poem exemplifies Gamsakhurdia's artistic mastery. The paper highlights how poetic form and symbolic imagery converge to articulate themes of spiritual quest, alienation, and reconciliation through faith and art.

ქეთევან ხითარიშვილი
Ketevan Khitarishvili

კონსტანტინე გამსახურდიას პირადი არქივი –
მისი ცხოვრებისა და შემოქმედებითი
ლაბორატორიის წყარო
(კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა
ეროვნულ ცენტრში დაცული მასალის მიხედვით)

**The Personal Archive of Konstantine Gamsakhurdia:
A Source for His Life and Creative Laboratory
(Based on Materials Preserved at the Korneli Kekelidze
National Centre of Manuscripts *of Georgia*)**

საკვანძო სიტყვები: გამსახურდიას წერილები, ტრაუნშაინის ტყვეთა ბანაკი
Keywords: Gamsakhurdia's letters, Traunstein prisoner-of-war camp

კ. კეკელიძის სახ. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულია კ. გამსახურდიას პირადი არქივი, რომელიც მოიცავს 158 საარქივო ერთეულს. მასში ძირითადად ინახება მწერლის ეპისტოლური მემკვიდრეობა, რომლის ადრესატები არიან მისი პირველი მეუღლე რებეკა ვაშაძე, მარგარიტა ვაშაძე (რებეკა ვაშაძის და), ნათელა გამსახურდია (კონსტანტინე გამსახურდიას ქალიშვილი) და სხვები. რებეკა ვაშაძისადმი გაგზავნილ წერილებში კარგად ჩანს ადრესანტის განცდები, მისი სააზროვნო სისტემა, დამოკიდებულება ამა თუ იმ აქტუალური საკითხის მიმართ, ასევე იკითხება ის ემოციური ველი, რომელიც არსებობდა წყვილს შორის. ეპისტოლეები ძირითადად ემთხვევა გერმანიაში სასწავლებლად წასული ახალგაზრდა კონსტანტინე გამსახურდიას დაპატიმრებისა და მისი ტყვეთა ბანაკში ყოფნის პერიოდს. ბარათები ქართულ, რუსულ და გერმანულ ენებზეა დაწერილი.

კ. გამსახურდიას პირადი არქივი, განსაკუთრებით წერილები, მნიშვნელოვანი არტეფაქტია მწერლის ფსიქოლოგიური და ინტელექტუალური სახის წარმოსახენად. შესაბამისად, ამ მასალის შესწავლა განსაკუთრებით ღირებულია, რადგან გერმანიაში სწავლისა და ტრაუნშტიანის ბანაკში გატარებულმა პერიოდმა მისი, როგორც მწერლის, ფორმირებაზე, დიდი გავლენა იქონია. წერილები მოიცავს მისი ლიტერატურული და ფილოსოფიური აზროვნების ფართო დიაპაზონს.

უნდა აღინიშნოს, რომ ქართულენოვანი წერილები უმეტესად გამოცემულია. განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო რუსულენოვანმა და გერმანულენოვანმა წერილებმა, რომლებიც ნაკლებადაა შესწავლილი და ახალგაზრდა მწერლის შესახებ დამატებით ინფორმაციას გვაწვდის. მათში გადმოცემულია, რას ტიპის ფილოსოფიურ თუ მხატვრულ ლიტერატურას ეცნობოდა მწერალი, რაზე მუშაობდა, ვისთან ჰქონდა ურთიერთობა, რით იყო დაკავებული ტყვეობისას. ცნობილია, რომ ის იცნობდა გერმანულ მწერალს, თომას მანს, წერილებში ჩანს ამ ურთიერთობის ამსახველი დეტალები. გერმანულენობის ტყვეთა ბანაკში გატარებული პერიოდის გარდა, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულ კ. გამსახურდიას პირად არქივში ინახება წერილები, რომლებიც მის შემოქმედებით გზას აცოცხლებს. ჩანს, როგორ მუშაობდა მწერალი თავის ნაწარმოებებსა და მათ გამოცემაზე. საინტერესოა მისი დამოკიდებულება „ვეფხისტყაოსნის“ ქალი პერსონაჟების მიმართ.

მწერლის პირად არქივში ინახება რებეკა ვაშაძის ოჯახის ფოტოები, ასევე – კ. გამსახურდიას ახალგაზრდობისდროინდელი და მისი დაკრძალვის ამსახველი ფოტომასალაც.

The Korneli Kekelidze National Centre of Manuscripts preserves the personal archive of Konstantine Gamsakhurdia, comprising 158 archival items. This collection primarily consists of the writer's epistolary heritage, featuring correspondence with his first wife, Rebeka Vashadze; her sister, Margarita Vashadze; and his daughter, Natela Gamsakhurdia, among others. The letters addressed to Rebeka Vashadze offer profound insight into Gamsakhurdia's worldview, his intellectual framework, and his perspectives on contemporary issues, while revealing the deep emotional bond between the couple. Most of this correspondence dates to the writer's youth, coinciding with his studies in Germany, his subsequent arrest, and his internment in the Traunstein prisoner-of-war and internment camp. These postcards and letters are written in Georgian, Russian, and German.

Konstantine Gamsakhurdia's personal archive, particularly his correspondence, serves as a vital artefact for understanding the writer's psychological and intellectual development. The study of this material is especially significant, as his years of study in Germany and his imprisonment in the Traunstein camp were formative experiences that deeply influenced his literary trajectory. These letters reflect a broad spectrum of his literary and philosophical thought, offering a rare glimpse into the evolution of one of Georgia's most influential modernists.

While most of the Georgian letters have already been published, the Russian and German correspondence remains less explored. These documents are especially valuable, offering new insights into the young writer's intellectual development. They detail the philosophical and literary works he studied, his creative projects, his social circle, and his daily life during his captivity. Notably, the archive sheds light on Gamsakhurdia's connection with the German novelist Thomas Mann, featuring details that reflect their relationship. Beyond his time in the Traunstein prisoner-of-war camp, the collection at the National Centre of Manuscripts chronicles his entire creative journey, documenting his writing and publication processes. His analysis of the female characters in *The Knight in the Panther's Skin* is of particular scholarly interest.

Finally, the archive preserves a visual record of his life, including photographs of Rebeka Vashadze's family, portraits of Gamsakhurdia's youth, and documentation of his funeral.

